# მე მიყვარს მონოთეიზმი

# أنا أحب التوحيد

# მე მიყვარს მონოთეიზმი

რა არის თავჰიდი? თავჰიდი არაბული სიტყვაა და გაერთიანებას ნიშნავს. ჩვენ თავჰიდის წარმოთქმის დროს რა რწმენას და აყიდას ვგულისხმობთ? ამას ვგულისხმობთ — ადამიანის ალლაჰის თაყვანისცემაში ერთიანობას, ანუ, თაყვანისცემის ყველა ფორმის და რელიგიური საქმეების ალლაჰზე მიძღვნას ვგულისხმობთ. თავჰიდი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც, უნდა იცოდე და ემორჩილებოდე მას. თავჰიდი, ამ რელიგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ბურჯია. ამ რელიგიის საფუძველი თავჰიდია. თავჰიდის დამოწმების სიტყვებია ’ლა ილაჰა ილლა ლლაჰ’ — არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ერთადერთი ალლაჰის (ღმერთის) გარდა. არაბულ ენაში არსებობს სიტყვები ’ალლაჰი და ილაჰა’. ალლაჰი ეწოდება სამყაროთა შემოქმედს, გამჩენს, მაკონტროლებელს, მაარსებელს და ა.შ. ხოლო ილაჰა ეწოდება სათაყვანოს. მაგ: პირობითად, თუკი ადამიანი ემორჩილება წინამძღოლს იმ საქმეებში, რაც ალლაჰმა აკრძალა და ეს ეხება რელიგიის საფუძველს (ე.ი თავჰიდის დარღვევას) ის ამ შემთხვევაში არის მისი ილაჰა, მისი სათაყვანო. ჭეშმარიტი ილაჰა არის უზენაესი ღმერთი, რომელმაც ყველაფერი არაფრისგან გააჩინა. სწორედ ამას გულისხმობს სიტყვები ’ლა ილაჰა ილლა ლლაჰ’- რომელიც ნიშნავს: არ არსებობს ღირსეული სათაყვანო ერთადერთი ალლაჰის გარდა.

უზენაესმა ალლაჰმა როცა თავის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უბრძანა, ასე უთხრა:

فَأَقِمْ وَجْهَكَ لِلدِّينِ حَنِيفًا فِطْرَتَ ٱللَّهِ ٱلَّتِى فَطَرَ ٱلنَّاسَ عَلَيْهَا ۚ لَا تَبْدِيلَ لِخَلْقِ ٱللَّهِ

*მოაბრუნე შენი სახე ჰანიფი (ერთმორწმუნე) სარწმუნოებისკენ, ასეთია თანდაყოლილი თვისება, რომელიც ალლაჰმა ადამიანს თანდააყოლა. ღმერთის გაჩენილს შეცვლა არ უწერია. (რუმ 30:30)*

ჰანიფი რას ნიშნავს? ჰანიფი არის შირქის მიმტოვებელი, შირქისგან განრიდებული მუსლიმანი ადამიანი, და ეს ყველაფერი ადამიანის ფითრათშია, (ბუნება/თანდაყოლილი თვისება).

ذَٰلِكَ ٱلدِّينُ ٱلْقَيِّمُ

*ეს არის ჭეშმარიტი რელიგია*

وَلَٰكِنَّ أَكْثَرَ ٱلنَّاسِ لَا يَعْلَمُونَ

*მაგრამ ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის! (რუმ 30:30)*

قُلْ إِنَّ صَلَاتِى وَنُسُكِى وَمَحْيَاىَ وَمَمَاتِى لِلَّهِ رَبِّ ٱلْعَٰلَمِينَ لَا شَرِيكَ لَهُ

*უთხარი: ჭეშმარიტად, ჩემი ლოცვა, ჩემი შესაწირი, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი სამყაროთა ღმერთის, ალლაჰისთვისაა. არ ჰყავს მას თანაზიარი... (ან'ამ 6:162-163)*

აი ეს არის თავჰიდი - ადამიანის ცხოვრების მიძღვნა ალლაჰისთვის. ლოცვა, მარხვა, ლაპარაკი, ფიქრები, ცხოვრება და სიკვდილი - ყველა სამყაროთა ღმერთს, ალლაჰს ეძღვნება, ესეიგი ამ ყველაფრის მიძღვნა ალლაჰისთვის, და მისი რელიგიისთვის. თავჰიდი აი ეს არის. თუ თავჰიდი არ იქნება, ალლაჰის წინაშე გაკეთებულ ნებისმიერ საქმეს არავითარი ფასი არ აქვს. თუ კაცი ალლაჰს ეთაყვანება და თავჰიდი არ იცის, თქვენ თუ გაქვთ ამის საშუალება და მას თავჰიდს არ შეასწავლით, თქვენ ამით დიდ უსამართლობას აკეთებთ. ე.ი მონოთეიზმი, თავჰიდი - მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ალლაჰისადმი თაყვანისცემა გულით, სიტყვიერად და საქმით. პოლითეიზმი, შირქი — ალლაჰზე თანაზიარის დადგენა თაყვანისცემაში, სიტყვიერად და საქმით.

იბნ ალ-ყაიმი წერდა:

كل آية في القرآن فهي متضمنة للتوحيد

ყურანში, ყველა აიათი მოიცავს თავჰიდს.
(მადარიჯი სალიქინ 3:350)

და ეს ასეც არის და მტკიცდება უამრავი მტკიცებულებებით, რომელსაც მოვიყვანთ ყურანიდან ამ წიგნში.

قُلْ إِنِّىٓ أُمِرْتُ أَنْ أَعْبُدَ ٱللَّهَ مُخْلِصًا لَّهُ ٱلدِّينَ

უთხარი: მე მებრძანა, ვეთაყვანო ალლაჰს გულწრფელად, მხოლოდ მისადმი ხალასი რწმენით. (ზუმარ 39:11)

არაბულში წერია 'მუხლისან' და რას ნიშნავს მუხლისი? პირველ რიგში გავიგოთ რას ნიშნავს სიტყვა იხლასი. იხლასი ნიშნავს გულწრფელობას რომელიც გამორიცხავს შირქს. იხლასის მსგავსი სიტყვა ქართულ ენაშიც არსებობს და ეს არის 'ხალასი' და ნიშნავს ნამდვილს და სუფთას.ე.ი იხლასი არის ღმერთის თაყვანისცემა შირქის გარეშე ხოლო მუხლისი არის ღმერთის თაყვანისმცემელი რომელიც შირქს არ ასრულებს ღმერთის მიმართ.ალლაჰი ყურანში ამბობს:

وَمَآ أُمِرُوٓا۟ إِلَّا لِيَعْبُدُوا۟ ٱللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ ٱلدِّينَ حُنَفَآءَ وَيُقِيمُوا۟ ٱلصَّلَوٰةَ وَيُؤْتُوا۟ ٱلزَّكَوٰةَ ۚ وَذَٰلِكَ دِينُ ٱلْقَيِّمَةِ

მათ არ ბრძანებიათ არაფერი იმის გარდა, რომ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ გულწრფელად, როგორც ჰანიფებს, დამდგარიყვნენ ლოცვად და გაეღოთ მოწყალება - და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება. (სურა ბეიინე 98:5)

არაბულში წერია მუხლისი და გადმოთარგმნილია როგორც გულწრფელად თაყვანისცემა. სხვა აიათში წერია:

قُلِ ٱللَّهَ أَعْبُدُ مُخْلِصًا لَّهُۥ دِينِى

უთხარი: მე ალლაჰს ვეთაყვანები მისადმი ხალასი რწმენით.

(ზუმერ 39:14)

ე.ი სუფთა/ნამდვილი თაყვანისცემა შირქის გარეშე. შირქი აბინძურებს ღმერთისადმი თაყვანისცემას და შეუძლებელია ის იყოს სუფთა თაყვანისცემა. თაყვანისცემას, რომელშიც შირქი ურევია ალლაჰი არ ღებულობს. პირველ აიათში ალლაჰმა თქვა რომ სუფთა - შირქის გარეშე თაყვანისცემა არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და მიღებული რწმენა ალლაჰისთვის მაშ ასე მოვიყვანოთ სხვადასხვა მტკიცებულებები თავჰიდის შესახებ:

## ალლაჰი არის გამჩენი

قُلْ مَن يَرْزُقُكُم مِّنَ ٱلسَّمَآءِ وَٱلْأَرْضِ أَمَّن يَمْلِكُ ٱلسَّمْعَ وَٱلْأَبْصَـٰرَ وَمَن يُخْرِجُ ٱلْحَىَّ مِنَ ٱلْمَيِّتِ وَيُخْرِجُ ٱلْمَيِّتَ مِنَ ٱلْحَىِّ وَمَن يُدَبِّرُ ٱلْأَمْرَ ۚ فَسَيَقُولُونَ ٱللَّهُ ۚ فَقُلْ أَفَلَا تَتَّقُونَ

*უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან და მიწიდან? ან ვინ ფლობს სმენასა და თვალთახედვას?! ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისაგან და ვის გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისაგან?! ვინ განაგებს საქმეებს?! იტყვიან: ალლაჰიო. და უთხარი: განა არ გეშინიათ?! (იუნუს 10:31)*

## ღმერთმა გაგვაჩინა რათა მას ვეთაყვანოთ.

وَمَا خَلَقْتُ ٱلْجِنَّ وَٱلْإِنسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

*არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ!*

مَآ أُرِيدُ مِنْهُم مِّن رِّزْقٍ وَمَآ أُرِيدُ أَن يُطْعِمُونِ

*არ მინდა მათგან სარჩო და არც ის, რომ დამაპურონ.*

إِنَّ ٱللَّهَ هُوَ ٱلرَّزَّاقُ ذُو ٱلْقُوَّةِ ٱلْمَتِينُ

*ალლაჰია სარჩოს მომცემი და ძლევამოსილი.*
*( ზარიათ 51:56-58)*

**მოწოდება, რომ ვეთაყვანოთ ღმერთს.**

يَٰٓأَيُّهَا ٱلنَّاسُ ٱعْبُدُوا۟ رَبَّكُمُ ٱلَّذِى خَلَقَكُمْ وَٱلَّذِينَ مِن قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ

*ჰეი, ადამიანებო! თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს, რომელმაც შეგქმნათ თქვენ და ისინი, ვინც იყვნენ თქვენზე უწინ! რათა ეგების ღმერთის გეშინოდეთ ! (ბაყარა 2:21)*

**ალლაჰი მოგვიწოდებს, ვეთაყვანოთ მას, და დავდგეთ ლოცვაზე.**

إِنَّنِىٓ أَنَا ٱللَّهُ لَآ إِلَـٰهَ إِلَّآ أَنَا۠ فَٱعْبُدْنِى وَأَقِمِ ٱلصَّلَوٰةَ لِذِكْرِىٓ

*ჭეშმარიტად მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, ჩემს გარდა .*
*თაყვანი მეცი და ლოცვად დადექი ჩემს სახსენებლად!*
*(ტაჰა 20: 14)*

**ალლაჰმა წარგზავნა ნუჰი და მოუწოდა ხალხს თავჰიდზე.**

لَقَدْ أَرْسَلْنَا نُوحًا إِلَىٰ قَوْمِهِۦ فَقَالَ يَـٰقَوْمِ ٱعْبُدُوا۟ ٱللَّهَ مَا لَكُم مِّنْ إِلَـٰهٍ غَيْرُهُۥٓ إِنِّىٓ أَخَافُ عَلَيْكُمْ عَذَابَ يَوْمٍ عَظِيمٍ

*და ვფიცავ, უწინ ნუჰი წარვაგზავნეთ თავის ხალხთან, და უთხრა: ო ხალხო ჩემო, თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ თქვენ ღვთაება მის გარდა. ხოლო მე მეშინია, თქვენ გამო დიდებული დღის სასჯელისა.*
*(ა’რაფ 7:59)*

**ალლაჰმა წარგზავნა შუამავლები, რათა მოუწოდონ ხალხს, რომ თაყვანი სცენ ერთადერთ ღმერთს.**

وَمَآ أَرْسَلْنَا مِن قَبْلِكَ مِن رَّسُولٍ إِلَّا نُوحِىٓ إِلَيْهِ أَنَّهُۥ لَآ إِلَـٰهَ إِلَّآ أَنَا۠ فَٱعْبُدُونِ

*და არ წარგვიგზავნია შენზე უწინ ერთი შუამავალიც კი, რომ არ ზეშთაგვეგონებინა მისთვის: არ არსებობს ღვთაება ჩემს გარდა, და მე მეთაყვანეთ. (ენბია 21:25)*

**ალლაჰმა წარგზავნა შუამავლები და მოუწოდეს ხალხს, რომ განერიდონ ტაღუთს.**

وَلَقَدْ بَعَثْنَا فِى كُلِّ أُمَّةٍ رَّسُولًا أَنِ ٱعْبُدُوا۟ ٱللَّهَ وَٱجْتَنِبُوا۟ ٱلطَّـٰغُوتَ ۖ فَمِنْهُم مَّنْ هَدَى ٱللَّهُ وَمِنْهُم مَّنْ حَقَّتْ عَلَيْهِ ٱلضَّلَـٰلَةُ ۚ فَسِيرُوا۟ فِى ٱلْأَرْضِ فَٱنظُرُوا۟ كَيْفَ كَانَ عَـٰقِبَةُ ٱلْمُكَذِّبِينَ

*და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ და განდგომოდნენ ტაღუთს, და მათგან იყვნენ ისინი, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზაზე და იყვნენ ისეთნიც, რომელთაც განესაზღვრათ ცდომილება. მაშ, იარეთ ქვეყანაზე და ნახეთ, როგორი იყო მატყუარების აღსასრული! (ნაჰლ 16:36)*

*ტაღუთი არის  ის, რაც აუცილებლად უნდა უარყოს მუსლიმანმა რათა მისი ისლამი იყოს ნამდვილი და მისაღები. უზენაესი ბრძანებს:*

لَآ إِكْرَاهَ فِى ٱلدِّينِ ۖ قَد تَّبَيَّنَ ٱلرُّشْدُ مِنَ ٱلْغَىِّ ۚ فَمَن يَكْفُرْ بِٱلطَّـٰغُوتِ وَيُؤْمِنۢ بِٱللَّهِ فَقَدِ ٱسْتَمْسَكَ بِٱلْعُرْوَةِ ٱلْوُثْقَىٰ لَا ٱنفِصَامَ لَهَا ۗ وَٱللَّهُ سَمِيعٌ عَلِيمٌ

*იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისგან. მაშ, ვინც უარყო ტაღუთი და ირწმუნა ალლაჰი, იგი მოეჭიდა საიმედო საყრდენს, რომლის ნგრევა შეუძლებელია. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისგამგონი, ყოვლისმცოდნეა. (ბაყარა 2:256)*

ყურტუბი ამ აიათის თაფსირში ამბობს: "ალლაჰმა ამ აიათით დაამყარა პირობები იმისათვის, რომ საყრდენს ჩაეჭიდონ:
ტაღუთის უარყოფა/თაქფირი და ალლაჰის რწმენა. საყრდენის ქვეშ იგულისხმება შემდეგი: მუჯაჰიდმა თქვა, რომ საყრდენი არის რწმენა. სუდდიმ თქვა, რომ ეს ისლამია. იბნ აბბასმა, საიდ ბინ ჯუბაირმმა და დაჰჰაყმა თქვეს, რომ საყრდენი ეს არის სიტყვები "ლა ილაჰა ილლა ლლაჰ" ეს ახსნები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და ყველა ერთ აზრს ატარებს. (ყურტუბის თაფსირი)

ბაღავი ამ აიათის თაფსირში ამბობს: "ვინც უარყო ტაღუთი" - ტაღუთი შაიტანია. ზოგიერთები ამბობენ, რომ ტაღუთი არის ის რასაც ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა "..... და ირწმუნა ალლაჰი, იგი მოეჭიდა საიმედო საყრდენს, რომლის ნგრევა შეუძლებელია." - ანუ ჩაეჭიდა ყველაზე მყარ, საიმედო რელიგიას, რომელიც არასოდეს დაირღვევა. (ბაღავის თაფსირი) შანყიტმა თქვა: ეს აიათი აჩვენებს, რომ ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ ალლაჰის მიმართ თაყვანისცემა იყოს მიღებული არის - ტაღუთების და მცდარი ღვთაებების უარყოფა.

ტაღუთი არის სისტემა რომელსაც ამყარებენ ურწმუნოები და ადამიანებს განსჯიან მათ მიერ დაწერილი კანონებით. ტაღუთი არის სისტემა რომელიც ალლაჰის მიერ დაშვებულს აკრძალულად აცხადებს, ხოლო აკრძალულს დაშვებულად და ამით ურწმუნოები ხდებიან და ისინიც ურწმუნოებაში შედიან ვინც მათ ემორჩილება.
ადი ბინ ჰათიმი გადმოსცემს: `როცა ჯერ კიდევ ქრისტიანი ვიყავი, გავიგონე, როგორ წაიკითხა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) აიათი:

ٱتَّخَذُوٓا۟ أَحْبَارَهُمْ وَرُهْبَـٰنَهُمْ أَرْبَابًا مِّن دُونِ ٱللَّهِ وَٱلْمَسِيحَ ٱبْنَ مَرْيَمَ وَمَآ أُمِرُوٓا۟ إِلَّا لِيَعْبُدُوٓا۟ إِلَـٰهًا وَٰحِدًا ۖ لَّآ إِلَـٰهَ إِلَّا هُوَ ۚ سُبْحَـٰنَهُۥ عَمَّا يُشْرِكُونَ

*მათ დაიდგინეს ღმერთებად მათი მწიგნობრები და ბერები, ალლაჰის მაგივრად, ასევე მესია, მარიამის შვილი.მათ ნაბრძანები ჰქონდათ, რომ მხოლოდ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ. არ არსებობს ღვთაება, მის გარდა. დიდება მას! შორსაა იმისაგან, რასაც თანაზიარად უდგენენ. (თავბა 9:31)*

მე ვუთხარი მას: კი მაგრამ, ჩვენ ხომ არ ვცემთ მათ თაყვანს! მან მიპასუხა: ნუთუ არ კრძალავთ იმას, რაც მათ აგიკრძალეს, მაგრამ ღმერთმა დაუშვა, და არ დაუშვებთ იმას, რაც ღმერთმა აკრძალა, მაგრამ მათ ნება

დაგრთეს? მე ვუპასუხე: კი, ეს ასეა. მან მითხრა: სწორედ ესაა თაყვანისცემა (თირმიზი 3094)

ის ხალხი შირქში შევიდა მორჩილებით, როცა დაემორჩილნენ იმას, რაც მწიგნობრებმა და ბერებმა აუკრძალეს, მაშინ, როცა ღმერთს ნება ჰქონდა მიცემული და დაშვებულად მიიღეს ის, რაც ღმერთს ჰქონდა აკრძალული. ესეიგი ჰალალ-ჰარამის საკითხში არ შეხედეს ალლაჰის წიგნს და ბრმად დაემორჩილნენ მათ მწიგნობრებს და ბერებს. დღევანდელი ხალხი მსგავსად ეთაყვანება ტაღუთს და სისტემას როცა ემორჩილება ისეთ კანონს და მმართველს, რომელიც ეწინააღმდეგება ალლაჰის დადგენილ შარიათულ კანონს. რაც შეეხება ხმის მიცემას; ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლებას აძლევენ 18 წელს ზემოთ ახალგაზრდებს. ხმის მიცემით ადამიანი ირჩევს იმ კანდიდატს ან პარტიას რომელიც მისთვის მისაღებია. თუ სისტემა არის ტაღუთის სისტემა და მმართველი ან რომელიმე კანდიდატი აპირებს სათავეში მოსვლას იმ სისტემით და კანონით, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთისგან მოვლენილ კანონს — ის კანონი არის ტაღუთი და შირქი, და მისი მიღება, არჩევა და მიყოლა ეწინააღმდეგება ალლაჰის შუამავალი მუჰამმადის მოტანილ თავჰიდს და სწორ რწმენას ვინაიდან ალლაჰმა დაადგინა ყურანი ადამიანთათვის სწორ გზად და კანონად როცა მან თქვა:

ٱلْقُرْءَانُ هُدًى لِّلنَّاسِ

*... ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისათვის,..*

*(ბაყარა 2:185)*

როგორ შეიძლება ჭეშმარიტი გზის გადადება გვერდზე და განსჯა ტაღუთის სისტემით? კანდიდატის არჩევა ნიშნავს: - 'მე კმაყოფილი ვარ კანდიდატის საარჩევნო პროგრამით, ვღებულობ მას და ვირჩევ მას რადგან მან მართოს ჩვენი ქვეყანა, ქალაქი თუ საქმეები' ასეთი დამოკიდებულება საფუძველშივე ურწმუნოებაა რადგან იგია შირქისა და ტაღუთისადმი კმაყოფილება. ჩვენი ცხოვრება ალლაჰისთვის უნდა იყოს მიძღვნილი, რათა დავიმსახუროთ მისი კმაყოფილება და მისივე წყალობით შეგვიშვას სამოთხეში. ისლამური სარწმუნოება არის თავჰიდი და სადაც თავჰიდი არ არის, იქ შეუძლებელია იყოს ისლამი. ხოლო ალლაჰმა დაგვავალა ტაღუთზე განრიდება და ასევე განრიდება მის მიმყოლ ხალხზეც. თავჰიდის სრულყოფისთვის საჭიროა მივიჩნიოთ ტაღუთი, მისი მიმყოლები და მომხრეები ურწმუნოებად. იბნ თაიმიამ თქვა:

«كل من كان عن التوحيد والسنة أبعد، كان إلى الشرك والبدعة والافتراء

أقرب.»

ყველა, ვინც თავჰიდს და სუნნას დაშორდა, მიუახლოვდა შირქს, სიახლეს (რელიგიაში) და სიცრუეს.
(იყთიდა სირატალ მუსთაყიმ გვ 501)

ის ხომ გაგიგია - როცა შენებას აჩერებ უკვე ნგრევას იწყებო. ეს ტექსტიც ასეთი შინაარსისაა... მუჰამმად ათ-თამიმმა წიგნში 'ქაშფ აშ-შუბუჰათ' ასეთი რამე დაწერა: 'უბრალო ადამიანი სიტყვებით 'ჩვენ თავჰიდი საკმარისად შევისწავლეთ' შაიტანის დიდ მახეში ვარდება' ამიტომ მეგობრებო! არ შევწვიტოთ თავჰიდის სწავლა და განვავითაროდ ყოველდღიურად თუნდაც მცირედით. განა ალლაჰის წიგნი იმისათვის არ მოევლინა დედამიწაზე, რომ თავჰიდი დადგინდეს ადამიანებს შორის?! ღმერთი ამბობს:

الٓر ۚ كِتَٰبٌ أُحْكِمَتْ ءَايَٰتُهُۥ ثُمَّ فُصِّلَتْ مِن لَّدُنْ حَكِيمٍ خَبِيرٍ

*ალიფ. ლამ. რა. აი წიგნი, რომლის აიათები გაცხადდა, მერე განიმარტა ბრძენისა და ყოვლისმცოდნის მიერ.*

أَلَّا تَعْبُدُوٓا۟ إِلَّا ٱللَّهَ

*რათა არ ეთაყვანოთ არავის, ალლაჰის გარდა... (სურა ჰუდ 11:1-2)*

إِنَّ هَٰذَا ٱلْقُرْءَانَ يَهْدِى لِلَّتِى هِىَ أَقْوَمُ وَيُبَشِّرُ ٱلْمُؤْمِنِينَ ٱلَّذِينَ يَعْمَلُونَ ٱلصَّٰلِحَٰتِ أَنَّ لَهُمْ أَجْرًا كَبِيرًا

*ჭეშმარიტად, ეს ყურანი უწინამძღვრებს ყველაზე სწორი გზისკენ და ახარებს მორწმუნეებს, რომელნიც აკეთებენ კეთილ საქმეებს, რომ სწორედ მათია უდიდესი ჯილდო. (ისრა 17:9)*

ყველაზე სწორი გზა, ეს არის ისლამის გზა, ეს არის რწმენის და თავჰიდის გზა. ვინც ისლამის გარდა სხვა გზით ივლის, ის არის ურწმუნო და თუ მოკვდება ისლამის გარდა სხვა რელიგიაზე, იქ იქნება საიქიოში წაგებულთა შორის. ისლამური სარწმუნოება კი არის თავჰიდისა და ჰანიფობის რელიგია.

إِنَّ ٱلدِّينَ عِندَ ٱللَّهِ ٱلْإِسْلَٰمُ

*ჭეშმარიტად, სარწმუნოება ალლაჰის წინაშე ისლამია..*
*(ალი იმრან 3:19)*

ალლაჰმა თავისი სიბრძნით გვაცნობა, რომ იგი არცერთ რელიგიას არ მიიღებს ისლამის გარდა. ისლამი კი უკვე ავხსენით — ეს არის ერთადერთი ღმერთისადმი თაყვანისცემა შირქის გარეშე. ვინც ისლამის გარდა სხვა სარწმუნოებით შეხვდება ალლაჰს — იქნება წაგებულთა შორის.

وَمَن يَبْتَغِ غَيْرَ ٱلْإِسْلَـٰمِ دِينًا فَلَن يُقْبَلَ مِنْهُ وَهُوَ فِى ٱلْـَٔاخِرَةِ مِنَ ٱلْخَـٰسِرِينَ

*და ვინც ეძიებს ისლამის გარდა სხვა სარწმუნოებას, მისგან არ მიიღება იგი, და საიქიოში იქნება წაგებულთა შორის.*
*(ალი იმრან 3:85)*

## ტაღუთის არჩევნებში ხმის მიმცემის ჰუქმი

ტათუღის არჩევნებში ხმის მიმცემი ადამიანი ალლაჰს თანაზიარს უდგენს. მნიშვნელობა არ აქვს ამას რა განზრახვით და რა მიზნით აკეთებს. რატომ? იმიტომ, რომ ისლამში შირქს თავისი გაგება აქვს. შირქის გაგება რა არის? შირქის მნიშვნელობა არის შემდეგ ჰადისში:
აბდულლაჰ იბნ მას'უდი გადმოსცემს, მე ვთქვი: ო ალლაჰის შუამავალო! რომელი ცოდვაა ყველაზე დიდი? მიპასუხა:

أَنْ تَجْعَلَ لِلَّهِ نِدًّا وَهْوَ خَلَقَكَ

თანაზიარის დადგენა ალლაჰზე რომელმაც შეგქმნა შენ... (ბუხარი 6811)
ალლაჰის რომელიმე თვისების და უფლების სხვაზე მინიჭება არის შირქი. შირქი არის ალლაჰის უფლებების სხვაზე მიწერა/მინიჭება. გინდ ეს უფლებები ალლაჰის გარდა სხვას მიანიჭე, გინდ ალლაჰის ერთად სხვას, მნიშვნელობა არ აქვს, შენ ალლაჰზე თანაზიარის დამდგენი გამოდიხარ. კანონის დადგენა ვისი უფლებამოსილებაა? ყურანის მიხედვით, კანონის დადგენა სამყაროთა ღმერთს, ალლაჰს უფლებაა. უზენაესი ალლაჰის წიგნში ჩაიხედეთ და ნახეთ, რას ამბობს:

إِنِ ٱلْحُكْمُ إِلَّا لِلَّهِ

მსჯავრი ალლაჰისაა,
(იუსუფ 12:40)

მსაჯულება და დაკანონება ეკუთვნის მხოლოდ ალლაჰს, და ვინც იტყვის, რომ დაკანონების უფლება აქვს ადამიანს, მან ალლაჰის უფლება მიაწერა ადამიანს და ამ სიტყვით თუ საქმით, ალლაჰს თანაზიარი დაუდგინა. ალლაჰს ბევრი თვისება გააჩნია, მათ შორისაა არ-რაზზაყ — სარჩოს მომცემი. თუ შენ სხვას მიაწერ ამ თვისებას და იტყვი, რომ სხვა იძლევა სარჩოს მის გარდა ან მასთან ერთად, შენ ჩაითვლები მუშრიქად. ვიცით, რომ მხოლოდ ალლაჰია გამჩენი. შენ რომ თქვა ალლაჰის გარდა სხვა

აჩენსო,  შენ ალლაჰს ამით თანაზიარს დაუდგენ.  ამგვარად დაკანონებაც და მსაჯულებაც ალლაჰის უფლებამოსილებაა. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

وَلَا يُشْرِكُ فِى حُكْمِهِۦٓ أَحَدًا

იგი არავის ჩაიზიარებს საკუთარ მსჯავრში.
(ქაჰფ 18:26)

ალლაჰი საკუთარ მსჯავრში ჩაზიარებით კმაყოფილი არ არის. ეს სამყარო ალლაჰის გაჩენილია, და მის გაჩენილ სამყაროში მისი კანონით უნდა მოხდეს მსაჯულება. ყურანში ასეთი აიათი არ არის: ალლაჰი არავის ჩაიზიარებს საკუთარ სარჩოში; ალლაჰი არავის ჩაიზიარებს გაჩენაში და ა.შ. ასეთი აიათი ყურანში არ არის, მაგრამ არის ასეთი აიათი:

وَلَا يُشْرِكُ فِى حُكْمِهِۦٓ أَحَدًا

იგი არავის ჩაიზიარებს საკუთარ მსჯავრში.
(ქაჰფ 18:26)

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ადამიანების პრობლემა სწორედ ალლაჰის ამ უფლების სხვაზე მიწერა იყო. ერთ დროს დამკანონებლის უფლება ფარაონს მიანიჭეს, ასევე მიანიჭეს ნემრუდს, სხვადასხვა დროში მეფეებს, პრეზიდენტებს და პარლამენტს მიანიჭეს და ა.შ. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ალლაჰმა დააწესა ნამაზის ლოცვა და ვიღაც პიროვნება ამბობს: მე დღეიდან ნამაზი პრეზიდენტის ან ამ პარტიისთვის უნდა ვილოცო-ო. ყველა ნორმალური ადამიანი იტყვის, რომ ეს არის შირქი ალლაჰის მიმართ. და რა არის ასეთი ადამიანის მუშრიქად შერაცხვის არგუმენტი? ის, რომ ამ ადამიანმა ალლაჰის მიერ დადგენილი ღვთისმსახურება სხვას მიუძღვნა. და აი მივედით იმ აზრამდეც, რომ ასეთივე შირქია -  როცა ალლაჰის მიერ დადგენილ კანონს ზურგს აქცევ და ირჩევ სხვა კანონს და მას ემორჩილები. არაბი მუშრიქები საკუთარი ხელით აკეთებდნენ კერპებს და მათ ეთაყვანებოდნენ, და ის ადამიანებიც ვინც ცრუ კანონებს ადგენენ, მათივე ხელით წერენ და მასვე ემორჩილებიან. განა ეს ორივე შირქი არ არის ალლაჰის მიმართ?  განა ალლაჰი არ ამბობს იუსუფ სურაში

إِنِ ٱلْحُكْمُ إِلَّا لِلَّهِ ۚ أَمَرَ أَلَّا تَعْبُدُوٓا۟ إِلَّآ إِيَّاهُ

მსჯავრი ალლაჰისაა, რომელმაც გიბრძანათ, რომ არაფერს ეთაყვანოთ მის გარდა (იუსუფ 12:40)

ესეიგი შენ, ვისაც ანიჭებ მსაჯულების უფლებას, შენი თაყვანისცემაც მის მიმართ სრულდება. თუკი ამ უფლებას მხოლოდ ალლაჰს მიანიჭებ, შენ ალლაჰის მორჩილი გამოდიხარ, და თუ სხვას მიანიჭებ შენ ალლაჰზე

თანაზიარის დამდგენი გამოდიხარ. იუსუფ შუამავლის ხალხის პრობლემაც სწორედ ეს იყო, და რატომ იყო მისი ხალხი მუშრიქი? იმიტომ, რომ ისინი ფარაონებს ანიჭებდნენ დამკანონებლის უფლების სტატუსს. იუსუფ შუამავალმა, როდესაც მათ თავჰიდი უქადაგა, თავჰიდთან ერთად მათ უთხრა, რომ მსაჯულება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისაა.

مَا تَعْبُدُونَ مِن دُونِهِۦٓ إِلَّآ أَسْمَآءً سَمَّيْتُمُوهَآ أَنتُمْ وَءَابَآؤُكُم مَّآ أَنزَلَ ٱللَّهُ بِهَا مِن سُلْطَٰنٍ ۚ إِنِ ٱلْحُكْمُ إِلَّا لِلَّهِ ۚ أَمَرَ أَلَّا تَعْبُدُوٓا۟ إِلَّآ إِيَّاهُ ۚ ذَٰلِكَ ٱلدِّينُ ٱلْقَيِّمُ وَلَٰكِنَّ أَكْثَرَ ٱلنَّاسِ لَا يَعْلَمُونَ

და არ ეთაყვანებით მის გარდა არაფერს, გარდა სახელებისა, რომლებიც დაარქვით თქვენ და თქვენმა მამებმა, ალლაჰს კი მათთვის არ გარდმოუვლენია მტკიცებულება. ჭეშმარიტად, მსჯავრი ალლაჰისაა, რომელმაც გიბრძანათ, რომ არაფერს ეთაყვანოთ მის გარდა. ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, თუმცა ხალხთაგან უმეტესმა არ იცის. (იუსუფ 12:40)

სწორედ ამიტომ, ტაღუთის არჩევნებში ხმის მიმცემი ადამიანი მუშრიქია ორი მიზეზის გამო:

1. ალლაჰს თანასწორი დაუდგინა.
2. ალლაჰის კანონით მსაჯულება არის თაყვანისცემა, და როგორც ნამაზის ალლაჰის გარდა სხვაზე შესრულება შირქია, ასევე ჰუქმის (მსჯავრის) უფლების სხვაზე მინიჭება არის შიქრი.

ალბათ თქვენ ხშირად გესმით, რომ ამერიკაში, რუსეთში, თურქეთში და ა.შ. ასობით და ორმოცდაათი მილიონიობით ადამიანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ეს ციფრები მიგვითითებს იმაზე, რომ ამდენმა ადამიანმა ჩაიდინა შირქი ალლაჰის მიმართ. და ასეთი დიდი ციფრები ხდება ბევრ ქვეყანაში, ზოგში უფრო ცოტა ციფრია რადგან მათი ციფრები განისაზღვრება ქვეყნის მოქალქეთა რაოდენობით.ამგვარად კონკრეტული ქვეყნის აბსოლიტური უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობით სჩადის შირქს. ასეთი ვითარება ყოველთვის იყო, როცა ადამიანთა უმრავლესობა ალლაჰს თანაზიარს უდგენდა ვინაიდან ალლაჰი ყურანში ამბობს:

قُلْ سِيرُوا۟ فِى ٱلْأَرْضِ فَٱنظُرُوا۟ كَيْفَ كَانَ عَٰقِبَةُ ٱلَّذِينَ مِن قَبْلُ ۚ كَانَ أَكْثَرُهُم مُّشْرِكِينَ

უთხარი: იარეთ ქვეყანაზე და შეხედეთ, როგორი იყო აღსასრული იმათი, ვინც თქვენზე უწინ იყვნენ; უმრავლესობა მათგანი წარმართი იყო. (რუმ 30:42)

ჩვენ კი ვთხოვთ სამყაროთა ღმერთს დაგვიფაროს შირქის სიბნელისგან.

**ალლაჰმა გვამცნო, რომ იგი არ პატიობს შირქს, თუ შირქის შემსრულებელი მოკვდება ისე, რომ მის შირქს არ მოინანიებს.**

إِنَّ ٱللَّهَ لَا يَغْفِرُ أَن يُشْرَكَ بِهِۦ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَٰلِكَ لِمَن يَشَآءُ ۚ وَمَن يُشْرِكْ بِٱللَّهِ فَقَدِ ٱفْتَرَىٰٓ إِثْمًا عَظِيمًا

*უეჭველია, ალლაჰი არ მიუტევებს იმას, რომ მას თანაზიარი დაუდგინონ, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ვისაც ინებებს. და ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის! (ნისა 4:48)*

لَقَدْ كَفَرَ ٱلَّذِينَ قَالُوٓا۟ إِنَّ ٱللَّهَ هُوَ ٱلْمَسِيحُ ٱبْنُ مَرْيَمَ ۖ وَقَالَ ٱلْمَسِيحُ يَٰبَنِىٓ إِسْرَٰٓءِيلَ ٱعْبُدُوا۟ ٱللَّهَ رَبِّى وَرَبَّكُمْ ۖ إِنَّهُۥ مَن يُشْرِكْ بِٱللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ ٱللَّهُ عَلَيْهِ ٱلْجَنَّةَ وَمَأْوَىٰهُ ٱلنَّارُ ۖ وَمَا لِلظَّٰلِمِينَ مِنْ أَنصَارٍ

*ვფიცავ ,ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰია მესიჰი, მარიამის შვილი; დათქვა მესიჰმა: ისრაილის შვილებო, თაყვანი ეცით ალლაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლოებს შემწეები. (მაიდე 5:72)*

**უწინდელ ხალხს ნაბრძანები ჰქონდა თაყვანისცემა გულწრფელად, და ასევე გვებრძანა ჩვენც.**

وَمَآ أُمِرُوٓا۟ إِلَّا لِيَعْبُدُوا۟ ٱللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ ٱلدِّينَ حُنَفَآءَ وَيُقِيمُوا۟ ٱلصَّلَوٰةَ وَيُؤْتُوا۟ ٱلزَّكَوٰةَ ۚ وَذَٰلِكَ دِينُ ٱلْقَيِّمَةِ

*მათ არ ბრძანებიათ არაფერი იმის გარდა, რომ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ გულწრფელად, როგორც ჰანიფებს, დამდგარიყვნენ ლოცვად და გაეღოთ მოწყალება - და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება . (ბეიინე 98:5)*

რას ნიშნავს ჰანიფი? სიტყვა ჰანიფი ყურანში ბევრ ადგილას ნახსენები და მისი მნიშვნელობები არის:

- ჰანიფი - ეს არის ის, ვინც მიატოვა შირქი და გაჰყვა რწმენას.

- ჰანიფი - ის, ვინც, შეგნებულად, ანუ მისი არსის ცოდნით ტოვებს შირქს, და მთლიანად მიემართება ჭეშმარიტებისკენ ისე, რომ არაფერს არ შეუძლია ჩამოაშოროს ის ჭეშმარიტებას.
- ჰანიფი - ის არის, ვინც ტოვებს შირქს და მიემართება თავჰიდისკენ.
- ჰანიფი - არის ის, ვინც გააზრებულად მიემართება თავჰიდისკენ.

**შირქი უდიდესი უსამართლობაა**

وَإِذْ قَالَ لُقْمَـٰنُ لِٱبْنِهِۦ وَهُوَ يَعِظُهُۥ يَـٰبُنَىَّ لَا تُشْرِكْ بِٱللَّهِ ۖ إِنَّ ٱلشِّرْكَ لَظُلْمٌ عَظِيمٌ

*და აკი, უთხრა ლუყმანმა თავის ძეს ანდერძად: „ჰეი, შვილო ჩემო! არ დაუდგინო ალლაჰს თანაზიარი, უეჭველად, შირქი (ალლაჰზე თანაზიარი) უდიდესი უსამართლობაა!“ (ლუყმან 31:13)*

**ვინც შირქს არ ჩაიდენს, იქნება დაცული და სწორ გზაზე მყოფი**

ٱلَّذِينَ ءَامَنُوا۟ وَلَمْ يَلْبِسُوٓا۟ إِيمَـٰنَهُم بِظُلْمٍ أُو۟لَـٰٓئِكَ لَهُمُ ٱلْأَمْنُ وَهُم مُّهْتَدُونَ

*მათ, რომელთაც ირწმუნეს და მათ რწმენას უსამართლობით არ მოსავენ, ისინი არიან დაცულნი და სწორ გზას ადგანან. (ან 'ამ 6:82)*

ჰეი ხალხო თაყვანი ეცი ერთადერთ ღმერთს, ალლაჰს, მან ხომ მხოლოდ მისადმი თაყვანისცემისათვის გაგაჩინა!თაყვანი ეცით შენს ღმერთს გულწრფელად და გიწყალობებს საუკეთესოს ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც.

**ადამიანები იბადებიან მუსლიმებად**

აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

كُلُّ مَوْلُودٍ يُولَدُ عَلَى الْفِطْرَةِ، فَأَبَوَاهُ يُهَوِّدَانِهِ أَوْ يُنَصِّرَانِهِ أَوْ يُمَجِّسَانِهِ، كَمَثَلِ الْبَهِيمَةِ تُنْتَجُ الْبَهِيمَةَ، هَلْ تَرَى فِيهَا جَدْعَاءَ

ყოველი ბავშვი იბადება ისლამურ ბუნებაზე(ფიტრათ). შემდეგ მისი მშობლების ზეგავლენით ხდება იუდეველი, ქრისტიანი ან მაზდეანი. ცხოველი შობს თავის ნაშიერს დეფეტქების გარეშე, განა გინახავთ რომელიმე დეფექტებით შობილი? (ბუხარი 1385)

ალლაჰი ამბობს ერთ-ერთ ყუდსი ჰადისში:

وإني خلقت عبادي حنفاء كلهم وإنهم أتتهم الشياطين

فاجتالتهم عن دينهم وحرمت عليهم ما احللت لهم وأمرتهم

أن يشركوا بي ما لم أنزل به سلطان

'მე შევქმენი ჩემი მსახურები ჰანიფებად, მაგრამ მათთან მივიდნენ შაიტნები და ისინი რელიგიიდან (რწმენიდან) გამოიყვანეს, და აუკრძალეს ის, რაზეც მე დავრთე ნება, და ნება დართეს იმაზე, რაც მე ავკრძალე, და უბრძანეს მათ რომ დაედგინათ ჩემთვის თანაზიარი, რაზეც მტკიცებულება არ მომივლენია" (110 ყუდსი ჰადისის წიგნიდან. 35-ე ჰადისი)

## იბრაჰიმის მინდობა და თავჰიდზე მოწოდება

وَٱتْلُ عَلَيْهِمْ نَبَأَ إِبْرَٰهِيمَ

და წაუკითხე მათ ამბავი იბრაჰიმისა.

إِذْ قَالَ لِأَبِيهِ وَقَوْمِهِۦ مَا تَعْبُدُونَ

ჰკითხა მან მამამისსა და თავის ხალხს: რას ეთაყვანებით?

قَالُوا۟ نَعْبُدُ أَصْنَامًا فَنَظَلُّ لَهَا عَـٰكِفِينَ

მიუგეს: ვეთაყვანებით კერპებს და ვლოცულობთ მათზე.

قَالَ هَلْ يَسْمَعُونَكُمْ إِذْ تَدْعُونَ

ჰკითხა: განა ესმით თქვენი, როცა მათ უხმობთ?

أَوْ يَنفَعُونَكُمْ أَوْ يَضُرُّونَ

ან მოაქვთ სარგებელი, ან ზარალი?

قَالُوا۟ بَلْ وَجَدْنَآ ءَابَآءَنَا كَذَٰلِكَ يَفْعَلُونَ

მიუგეს: ვნახეთ ჩვენი წინაპრები ამგვარად იქცეოდნენ.

قَالَ أَفَرَءَيْتُم مَّا كُنتُمْ تَعْبُدُونَ

უთხრა: განა გიფიქრიათ, რას ეთაყვანებით

أَنتُمْ وَءَابَآؤُكُمُ ٱلْأَقْدَمُونَ

თქვენ და თქვენი წინაპრებიც?

فَإِنَّهُمْ عَدُوٌّ لِّيٓ إِلَّا رَبَّ ٱلْعَٰلَمِينَ

ჭეშმარიტად, ისინი ჩემი მტრები არიან, გარდა სამყაროთა ღმერთისა.

ٱلَّذِى خَلَقَنِى فَهُوَ يَهْدِينِ

რომელმაც გამაჩინა, სწორედ იგი დამადგენს ჭეშმარიტ გზაზე.

وَٱلَّذِى هُوَ يُطْعِمُنِى وَيَسْقِينِ

რომელიც მაჭმევს და მასმევს.

وَإِذَا مَرِضْتُ فَهُوَ يَشْفِينِ

და როცა ავად ვხვდები, მაჯანსაღებს.

وَٱلَّذِى يُمِيتُنِى ثُمَّ يُحْيِينِ

რომელიც მომაკვდინებს და მერე გამაცოცხლებს.

وَٱلَّذِىٓ أَطْمَعُ أَن يَغْفِرَ لِى خَطِيٓـَٔتِى يَوْمَ ٱلدِّينِ

რომელსაც მივენდობი, რომ მაპატიოს ჩემი ცოდვები განკითხვის დღეს.

رَبِّ هَبْ لِى حُكْمًا وَأَلْحِقْنِى بِٱلصَّٰلِحِينَ

ღმერთო ჩემო! მიწყალობე მსჯავრი და შემაერთე მართალთ.

وَٱجْعَل لِّى لِسَانَ صِدْقٍ فِى ٱلْءَاخِرِينَ

დატოვე ჩემზე ჭეშმარიტი სიტყვა მომავალი თაობებისთვის.

وَٱجْعَلْنِى مِن وَرَثَةِ جَنَّةِ ٱلنَّعِيمِ

და დამადგინე მე ხვავ-ბარაქიანი სამოთხის მემკვიდრეთაგან.

وَٱغْفِرْ لِأَبِىٓ إِنَّهُۥ كَانَ مِنَ ٱلضَّآلِّينَ

და მიუტევე მამაჩემს, რამეთუ იყო გზააბნეული.

وَلَا تُخْزِنِى يَوْمَ يُبْعَثُونَ

და ნუ შემარცხვენ განკითხვის დღეს.

يَوْمَ لَا يَنفَعُ مَالٌ وَلَا بَنُونَ

იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე და არც ძენი არავის წაადგება,

إِلَّا مَنْ أَتَى ٱللَّهَ بِقَلْبٍ سَلِيمٍ

იმათ გარდა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით
(შუღერა 26:69-89)

**თავჰიდზე მომწოდებელი მოკლეს, ალლაჰმა აპატია და გახდა სამოთხის მკვიდრი.**

ალლაჰის სიტყვები:

وَٱضْرِبْ لَهُم مَّثَلًا أَصْحَـٰبَ ٱلْقَرْيَةِ إِذْ جَآءَهَا ٱلْمُرْسَلُونَ

და მოუყვანე მათ იგავად სოფლის ბინადარნი, როცა მათთან მივიდნენ შუამავლები.

إِذْ أَرْسَلْنَآ إِلَيْهِمُ ٱثْنَيْنِ فَكَذَّبُوهُمَا فَعَزَّزْنَا بِثَالِثٍ فَقَالُوٓا۟ إِنَّآ إِلَيْكُم مُّرْسَلُونَ

აკი, გავგზავნეთ მათთან ორი, ცრუდ შერაცხეს, და გავაძლიერეთ ის ორი მესამეთი. და უთხრეს: ჭეშმარიტად, ჩვენ თქვენთან წარმოგზავნილები ვართო.

قَالُوا۟ مَآ أَنتُمْ إِلَّا بَشَرٌ مِّثْلُنَا وَمَآ أَنزَلَ ٱلرَّحْمَـٰنُ مِن شَىْءٍ إِنْ أَنتُمْ إِلَّا تَكْذِبُونَ

მიუგეს: თქვენ მხოლოდ კაცები ხართ, ჩვენი მსგავსნი, და არაფერი ზეგარდმოუვლენია მოწყალეს, თქვენ მხოლოდ მატყუარები ხართო.

قَالُوا۟ رَبُّنَا يَعْلَمُ إِنَّآ إِلَيْكُمْ لَمُرْسَلُونَ

თქვეს: ჩვენმა ღმერთმა იცის, რომ ჩვენ თქვენთან ვართ წარმოგზავნილები.

وَمَا عَلَيْنَآ إِلَّا ٱلْبَلَـٰغُ ٱلْمُبِينُ

და არაფერი გვაკისრია, გარდა ცხადი შეტყობინებისა.

قَالُوٓا۟ إِنَّا تَطَيَّرْنَا بِكُمْ ۖ لَئِن لَّمْ تَنتَهُوا۟ لَنَرْجُمَنَّكُمْ وَلَيَمَسَّنَّكُم مِّنَّا عَذَابٌ أَلِيمٌ

მიუგეს: ჩვენი ნავსი თქვენგანაა და თუ არ მორჩებით, უსათუოდ ჩაგქოლავთ და ჩვენგან დაგატყდებათ მტანჯველი სასჯელიო.

قَالُوا۟ طَـٰٓئِرُكُم مَّعَكُمْ ۚ أَئِن ذُكِّرْتُم ۚ بَلْ أَنتُمْ قَوْمٌ مُّسْرِفُونَ

უთხრეს: თქვენი ნავსი თქვენგანვეა, განა შეგონებისგან? დიახ, თქვენ თავგასული ხალხი ხართ.

وَجَآءَ مِنْ أَقْصَا ٱلْمَدِينَةِ رَجُلٌ يَسْعَىٰ قَالَ يَـٰقَوْمِ ٱتَّبِعُوا۟ ٱلْمُرْسَلِينَ

და მოვიდა ქალაქის შორი უბნიდან ერთი კაცი სირბილით. უთხრა: ჰეი ჩემო ხალხო, მიჰყევით წარმოგზავნილებს!

ٱتَّبِعُوا۟ مَن لَّا يَسْـَٔلُكُمْ أَجْرًا وَهُم مُّهْتَدُونَ

გაჰყევით იმათ, ვინც არ გთხოვთ საზღაურს, ისინი სწორ გზას ადგანან.

وَمَا لِىَ لَآ أَعْبُدُ ٱلَّذِى فَطَرَنِى وَإِلَيْهِ تُرْجَعُونَ

და რა მიშლის ხელს, რომ არ ვეთაყვანო იმას, ვინც შემქმნა და ვისკენაც დავბრუნდებით?

ءَأَتَّخِذُ مِن دُونِهِۦٓ ءَالِهَةً إِن يُرِدْنِ ٱلرَّحْمَـٰنُ بِضُرٍّ لَّا تُغْنِ عَنِّى شَفَـٰعَتُهُمْ شَيْـًٔا وَلَا يُنقِذُونِ

განა დავიდგინო მის გარდა ღვთაება? თუ მოწყალემ მისურვა ზარალი, ვერაფერში მარგებს მათი ქომაგობა და ისინი მე ვერ დამიხსნიან.

إِنِّىٓ إِذًا لَّفِى ضَلَـٰلٍ مُّبِينٍ

მაშინ ვიქნები ცხად გზააბნევაში.

إِنِّىٓ ءَامَنتُ بِرَبِّكُمْ فَٱسْمَعُونِ

ჭეშმარიტად, მე ვირწმუნე თქვენი ღმერთი, და ყური დამიგდეთ.

قِيلَ ٱدْخُلِ ٱلْجَنَّةَ ۖ قَالَ يَـٰلَيْتَ قَوْمِى يَعْلَمُونَ

ებრძანა მას: შედი სამოთხეში. თქვა: ნეტავ, ჩემს ხალხს სცოდნოდა.

بِمَا غَفَرَ لِى رَبِّى وَجَعَلَنِى مِنَ ٱلْمُكْرَمِينَ

რომ მაპატია ჩემმა ღმერთმა და მაქცია პატივდებულადო.

(იასინ 36:13:27)

იბნი ქასირი წერდა ამ კაცის შესახებ: (რომელმაც მოირბინა) ეს კაცი იყო ჰაბიბ ბინ ნაჯარი. იგი იყო კეთროვანი კაცი და ძალიან ქველმოქმედი. მისი შემოსავლის ნახევარს ქველმოქმედებაში გასცემდა და მისი ფითრათი სუფთა იყო. (იბნ ქასირი)

მისი ფითრათი სუფთა იყო და მან მიიღო ისლამი/თავჰიდი, დაეხმარა წარმოგზავნილებს, რის გამოც მოკლეს და გახდა სამოთხის მკვიდრი. ალჰამდულილლაჰ! დაუკვირდით აიათებს; ის ადამიანი გახდა სამოთხის ბინადარი თავჰიდისა და მისკენ მოწოდების გამო. და ეს არის გულწრფელი თავჰიდის შედეგი. და ასევე გამოქვაბულის მეგობრები? ისინიც ალლაჰმა დაიცვა და დაიფარა მათი თავჰიდის გამო. ისინი იყვნენ ჭაბუკები, ახალგაზრდები, რომლებმაც მიიღეს თავჰიდი, ირწმუნეს და მიჰყვნენ მის მცნებებს. გადმოცემის მიხედვით ეს ჭაბუკები იყვნენ `ისა იბნ მარიამის მოტანილი რწმენის და თავჰიდის მიმყოლები. დაე იყოს გაკვეთილი ჩვენთვის უზენაესის შემდეგი სიტყვები:

إِذْ أَوَى ٱلْفِتْيَةُ إِلَى ٱلْكَهْفِ فَقَالُوا۟ رَبَّنَآ ءَاتِنَا مِن لَّدُنكَ رَحْمَةً وَهَيِّئْ لَنَا مِنْ أَمْرِنَا رَشَدًا

და თავი შეაფარეს ჭაბუკებმა გამოქვაბულს და თქვეს: ღმერთო ჩვენო, გვიბოძე შენი წიაღიდან წყალობა და დადვიდგინე ჩვენს საქმეში წარმატებაო.

فَضَرَبْنَا عَلَىٰٓ ءَاذَانِهِمْ فِى ٱلْكَهْفِ سِنِينَ عَدَدًا

და დავულუქეთ ყურები გამოქვაბულში რამდენიმე წელიწადით.

ثُمَّ بَعَثْنَـٰهُمْ لِنَعْلَمَ أَىُّ ٱلْحِزْبَيْنِ أَحْصَىٰ لِمَا لَبِثُوٓا۟ أَمَدًا

შემდეგ გამოვაღვიძეთ ისინი, რათა გაგვეგო, რომელი ჯგუფი უკეთ გამოითვლიდა რამდენი წელი დაჰყვეს.

نَّحْنُ نَقُصُّ عَلَيْكَ نَبَأَهُم بِٱلْحَقِّ ۚ إِنَّهُمْ فِتْيَةٌ ءَامَنُوا۟ بِرَبِّهِمْ وَزِدْنَـٰهُمْ هُدًى

აჰა, გიამბობთ შენ მათ ამბავს ჭეშმარიტებით. ისინი იყვნენ ჭაბუკები, რომელთაც ირწმუნეს თავისი ღმერთი; ხოლო ჩვენ მივუმატეთ მათ ჭეშმარიტი გზა.

وَرَبَطْنَا عَلَىٰ قُلُوبِهِمْ إِذْ قَامُوا۟ فَقَالُوا۟ رَبُّنَا رَبُّ ٱلسَّمَـٰوَٰتِ وَٱلْأَرْضِ لَن نَّدْعُوَا۟ مِن دُونِهِۦٓ إِلَـٰهًا ۖ لَّقَدْ قُلْنَآ إِذًا شَطَطًا

და სიმტკიცე მოვავლინეთ მათ გულებზე, როცა ფეხზე წამოდგნენ და თქვეს: „ჩვენი ღმერთი ცათა და ქვეყნის ღმერთია! ჩვენ არ ვეთაყვანებით მის გარდა სხვა ღვთაებას, რადგან მაშინ ტყუილს ვიტყოდით!

هَـٰٓؤُلَآءِ قَوْمُنَا ٱتَّخَذُوا۟ مِن دُونِهِۦٓ ءَالِهَةً ۖ لَّوْلَا يَأْتُونَ عَلَيْهِم بِسُلْطَـٰنٍۭ بَيِّنٍ ۖ فَمَنْ أَظْلَمُ مِمَّنِ ٱفْتَرَىٰ عَلَى ٱللَّهِ كَذِبًا

ამ ჩვენმა ხალხმა დაიდგინა მის გარდა ღვთაებები. რატომ არ მოიტანეს მათთვის ცხადი მტკიცებულება! და ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც ალლაჰზე სიცრუეს თხზავს?

وَإِذِ ٱعْتَزَلْتُمُوهُمْ وَمَا يَعْبُدُونَ إِلَّا ٱللَّهَ فَأْوُۥٓا۟ إِلَى ٱلْكَهْفِ يَنشُرْ لَكُمْ رَبُّكُم مِّن رَّحْمَتِهِۦ وَيُهَيِّئْ لَكُم مِّنْ أَمْرِكُم مِّرْفَقًا

რაკიღა გაემიჯნეთ მათ და იმას, რასაც ისინი ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა, მაშ თავი შეაფარეთ გამოქვაბულს, მოგმადლით ღმერთი თავის წყალობას და დაგიდგენთ თქვენს საქმეში წინამძღოლს. (ქაჰფ 18:10:16)

და რის გამო? თავჰიდის გამო. ამ ჭაბუკებმა არამხოლოდ მათი ხალხის შირქს განუდგნენ, არამედ იმ ხალხსაც, ვინც შირქს სჩადიოდა. ეს ორი რამ — შირქისგან და შირქის ჩამდენი ხალხისგან განრიდება თავჰიდის განუყოფელი ნაწილია. თავჰიდი ისეთი ძვირფასი რამეა, რომ უზენაესი მის გამო ადამიანებს იყვარებს და ჰპირდება სამუდამო ნეტარებას. თავჰიდი ისე უყვარს ღმერთს, რომ მის გამო ყველა ცოდვას პატიობს. ხოლო შირქი ისე სძულს ღმერთს, რომ მის გამო არცერთ სიკეთეს არ ღებულობს რამდენიც არ უნდა გააკეთო.

## თავჰიდის გარეშე გაკეთებული ყველა კეთილი საქმე ფუჭია

ამის არგუმენტია:

وَلَقَدْ أُوحِيَ إِلَيْكَ وَإِلَى ٱلَّذِينَ مِن قَبْلِكَ لَئِنْ أَشْرَكْتَ لَيَحْبَطَنَّ عَمَلُكَ وَلَتَكُونَنَّ مِنَ ٱلْخَـٰسِرِينَ

და ვფიცავ, ზეშთაგეგონა შენ და იმათ, ვინც იყვნენ შენზე უწინ: თუკი დაუდგენ (ალლაჰს) თანაზიარს, ამაო გახდება შენი საქმენი და აღმოჩნდები წაგებულთა შორის. (ზუმარ 39:65)
როცა ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მექქელ წამართებს, იუდეველებს და ქრისტიანებს მოუწოდებდა თავჰიდზე - ალლაჰის ერთადერთობაზე, ნაწილი იღებდა მას, ხოლო ნაწილი ზიზღით განეწყობოდა და მტრობას უცხადებდა. იგი მოუწოდებდა ალლაჰის თავჰიდისკენ. ალლაჰის თავჰიდი გულისხმობს: აღიარო შენი გამჩენი ღმერთის სიდიადე, აღმატებულობა და ყოვლისშემძლეობა, თაყვანისცე მხოლოდ მას და არ დაუდგინო თანაზიარი, მიიღო მხოლოდ მისი კანონი და მისით მოაგვარო წამოჭრილი უთანხმოება, და არ მიიღო და არ განსაჯო სხვა კანონით. ალლაჰი ყურანში გვამცნობს:

وَإِذَا ذَكَرْتَ رَبَّكَ فِى ٱلْقُرْءَانِ وَحْدَهُۥ وَلَّوْا۟ عَلَىٰٓ أَدْبَـٰرِهِمْ نُفُورًا

...როცა ახსენებ ყურანში შენი ღმერთის ერთადერთობას, უკან გაბრუნდებიან ზიზღით.
(ისრა 17:46)
ღმერთის ერთადერთობა ნიშნავს ყველაფერში ერთადერთად აღიარებას მათ შორის დამკანონებლად მხოლოდ ალლაჰის აღიარებას. ალლაჰის თავჰიდი გულისხმობს ამ ყველაფრის შესრულებას, ასევე მოიცავს ადამიანების მიმართ დამოკიდებულებას.

ალლაჰის თავჰიდი ურწმუნოდ თვლის იმ ხალხს ვინც არ იყო და არ არის თავჰიდზე. როდესაც ალლაჰის შუამავალი ხსნიდა თავჰიდს შეიძულეს და ხან გიჟი, ხან პოეტი და მოჯადოვებული უწოდეს. თავჰიდისკენ მომწოდებლებზე სხვადასხვა ეპითეტების დარქმევა ძველთაგან მოდის და გრძელდება დღემდე. ვერცერთ სწავლულს ვერ დაასახელებთ ვისაც. გზააბნეულთაგან არ ჰქონია წინააღმდეგობა და იარლიყების დარქმევა. დღეს, როცა მუსლიმები თავჰიდზე მოწოდებას ანხორციელებენ, მათაც იარლიყებს აკრავენ. იარლიყებს მხოლოდ იმიტომ არწმევენ, რომ თავჰიდზე ეძახიან ხალხს და ყურანის და სუნნას საფუძველზე ურწმუნოებად მიაჩნიათ ისინი, ვინც არ ყოფილან და არ არის თავჰიდზე. აქვე მოგიწოდებთ, რომ თუ თავჰიდზე არ იქნებით თქვენი საქმეები სამწუხაროდ ფუჭად ჩაივლის. ჩვენ თქვენს სასიკეთოდ მოგიწოდებთ რომ გამოასწოროთ თქვენი აყიდა და თავჰიდს და მის ხალხს მტრობას ნუ გამოუცხადებთ, და თან ისე, რომ ვერც მიხვდეთ. აქვე შეგახსენებთ ერთ გადმოცემას:
'ას ბინ ვაილმა ისლამამდელ პერიოდში პირობა დადო, რომ შესწირავდა ას აქლემს, ხოლო ჰიშამ ბინ ალ-ასი ორმოცდაათს. უმარმა ამის შესახებ ჰკითხა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას). მან კი უთხრა:

أَمَّا أبوكَ فلو كان أقرَّ بالتوحيدِ فصُمتَ وتصَدَّقتَ عنه نفَعَه ذلك

მამაშენს რომ დაემოწმებინა თავჰიდი, ხოლო შენ მის მაგივრად(მისთვის) მარხვა დაგეცვა და მოწყალება გაგეცა, ესენი მას სარგებელს მოუტანდა.
(აჰმადის მუსნადი ტომი 10, გვ 176)

იბნი თაიმიამ თქვა»: ეჭვგარეშეა, რომ თავჰიდი არის რწმენის საფუძველი. თავჰიდი არის განმასხვავებელი ნიშანი სამოთხისა და ჯოჯოხეთის ხალხისა, ეს არის გადასახადი, რომელიც უნდა გადაიხადო, რათა შეხვიდე სამოთხეში, ასე რომ ისლამში (რწმენაში) ყოფნა ადამიანისთვის შეუძლებელია თავჰიდის გარეშე». (მაჯმუ'ულ ფეთავა 24/235)

თავჰიდის გარეშე რომ კეთილი საქმე ადამიანისთვის უსარგებლო და დაკარგულია მიუთითებს შემდეგი არგუმენტი: ‘’აიშამ (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ჰკითხა: ალლაჰის შუამავალო! იბნ ჯუდ'ანი ნათესავებს მხარში ედგა, ღარიბებს აპურებდა. იმქვეყნად მიიღებს თუ არა ამის სანაცვლოდ სარგებელს? ალლაჰის შუამავალმა უპასუხა: არა, მის მიერ ნამოქმედარი სიკეთეები მას ვერანაირ სარგებელს ვერ მოუტანს, რადგანაც მას, ერთ დღესაც კი არ უთქვამს, რომ ღმერთო განკითხვის დღეს ცოდვები მაპატიეო. (მუსლიმ 214)’

‘’იმამი ნავავიმ საჰიჰ მუსლიმის განმარტებაში ეს ჰადისი განიხილა შემდეგი სათაურის ქვეშ: "მტკიცებულება იმისა, რომ ვერცერთი კეთილი საქმე სარგებელს ვერ მოუტანს იმას, ვინც ურწმუნოდ გარდაიცვალა", სადაც ასეთ განმარტებას უკეთებს მოყვანილ ჰადისს: "ჰადისი გვამცნობს, რომ ვინც ურწმუნოდ გარდაიცვალა, მას ნათესავების მხარში დგომა, ღარიბების დაპურება და მსგავსი კეთილი საქმეები ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს." (იმამი ნავავი, მინჰაჯ, საჰიჰი მუსლიმის განმარტება, 3/82)’’

უზენაესი ალლაჰი ამბობს:

عَامِلَةٌ نَّاصِبَةٌ

(ტყუილად) მშრომელნი, გადაღლილნი.

تَصْلَىٰ نَارًا حَامِيَةً

დაიწვებიან მცხუნვარე ცეცხლში.
(ღაშია 88:3-4)

იბნი ქასირის განმარტებების წიგნში ნათქვამია ამ აიათის შესახებ: ეს აიათი ნიშნავს, რომ მათ ბევრი იშრომეს და დაიღალნენ მათი საქმეებით, მაგრამ განკითხვის დღეს, მათ ცეცხლში ჩააგდებენ. ალ-ჰაფიზ აბუ ბაქრ ალ-ბურყანი გადმოსცემს იმრან ალ-ჯავრისგან: „უმარ ბინ ხატტაბმა გაიარა ერთ-ერთი ქრისტიანი ბერის მონასტერთან და ვიღაცამ დაუძახა ბერს: მორწმუნეთა მმართველი აქ არის. როდესაც ბერი გარეთ გამოვიდა, სახეზე ეტყობოდა სირთულეების, ძალისხმევის და ამქვეყნიური სიამოვნებების მიტოვების აშკარა კვალი. (გადაღლილობის გამო სახეზე ფერი შეცვლილი ჰქონდა). უმარმა შეხედა მას და ტირილი დაიწყო. ის ქრისტიანია — უთხრა ვიღაცამ. უმარმა მას უპასუხა: „ვიცი, მაგრამ მის გამო ვწუხვარ, რადგან გამახსენდა ალლაჰის სიტყვები:

عَامِلَةٌ نَّاصِبَةٌ

(ტყუილად) მშრომელნი, გადაღლილნი.

تَصْلَىٰ نَارًا حَامِيَةً

დაიწვებიან მცხუნვარე ცეცხლში.
(ღაშია 88:3-4)

ვწუხვარ მის გამო, რადგან ამქვეყნად იშრომა და ამ შრომის მიუხედავად მაინც ჯოჯოხეთში შევა. (ბაიჰაყი)

და რატომ ტყუილად? იმიტომ, რომ მათ საქმეში შეერია შირქი და მათ მიერ გაკეთებული საქმეები არავითარ სიკეთეს არ მოიტანს და მათი ყველა საქმე აღდგომის დღეს ფუჭად ჩაივლის.
ეს ისტორია ასევე მოყვანილია იბნ ქასირის თაფსირში

## ვინც ალლაჰისკენ მიბრუნდება – გამოიცდება

ვინც მიიღებს ისლამს გულწრფელად, ირწმუნებს და გადადგამს ნაბიჯს მისი ღმერთისკენ, ის გამოიცდება სხვადასხვა სირთულეებით ღმერთის სიტყვების თანახმად:

أَحَسِبَ ٱلنَّاسُ أَن يُتْرَكُوٓا۟ أَن يَقُولُوٓا۟ ءَامَنَّا وَهُمْ لَا يُفْتَنُونَ

განა ჰგონია ხალხს, რომ მიტოვებულ იქნებიან, როცა ამბობენ: ვირწმუნეთ, და არ გამოიცდებიან?

وَلَقَدْ فَتَنَّا ٱلَّذِينَ مِن قَبْلِهِمْ ۖ فَلَيَعْلَمَنَّ ٱللَّهُ ٱلَّذِينَ صَدَقُوا۟ وَلَيَعْلَمَنَّ ٱلْكَٰذِبِينَ

ვფიცავ, ჩვენ გამოვცადეთ ისინი, რომელნიც იყვნენ მათზე უწინ. ალლაჰმა იცის, რომელთაც სიმართლე თქვეს და რომელთაც იცრუეს!
(ანქებუთ 29:2-3)

ზოგიერთი ადამიანი გამოიცდება გაჭირვებით, ზოგი სიმდიდრით, ზოგიც მეუღლით, მშობლით, შვილით, იდეოლოგიური დაპირისპირებით და ა.შ. მორწმუნეებზე გამოცდა ალლაჰის დადგენილი კანონი და წესია და მას ვერ გავექცევით. გინდა სამოთხე? მაშინ გამოცდის ტვირთს უნდა შეეგუო. როცა ისლამს მიიღებ, წინააღმდეგობა შეგხვდება ისევ შენი ხალხისგან. ყურანში ნათქვამია, რომ როდესაც იბრაჰიმმა (ალლაჰის სალამი მას) თავისი თავი ჩააბარა ღმერთისადმი მორჩილებას ასე ამბობდა, რომელიც ღმერთმა გვაცნობა:

إِنِّى وَجَّهْتُ وَجْهِىَ لِلَّذِى فَطَرَ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضَ حَنِيفًا ۖ وَمَآ أَنَا۠ مِنَ ٱلْمُشْرِكِينَ

ჭეშმარიტად, მე მივაბრუნე სახე ერთმორწმუნედ(ჰანიფად) იმისკენ, ვინც გააჩინა ცანი და დედამიწა. და მე არა ვარ წარმათთაგანი(მუშრიქ).
(ან“ამ 6:79)
იბრაჰიმი მიბრუნდა ალლაჰისკენ ჰანიფად და განერიდა იმ გზას რასაც მისი გარშემო საზოგადოება მიჰყვებოდა. და რა მოხდა შემდეგ? შემდეგ რაც მოხდა ნათქვამია შემდეგ აიათში:

وَحَآجَّهُۥ قَوْمُهُۥ

და ეკამათა მას მისი ხალხი.... (ან“ამ 6:80)

რწმენის, ისლამის მიღების შემდეგ ყველა გამოიცდება ინდივიდუალური მდგომარეობებით. ეს არის ალლაჰის დადგენილი გზა – რომ გამოსცადოს მისი მსახურები. ალლაჰი ამბობს:

مَّا كَانَ ٱللَّهُ لِيَذَرَ ٱلْمُؤْمِنِينَ عَلَىٰ مَآ أَنتُمْ عَلَيْهِ حَتَّىٰ يَمِيزَ ٱلْخَبِيثَ مِنَ ٱلطَّيِّبِ

ალლაჰი არ დატოვებს მორწმუნეებს იმ ყოფაში, როგორშიც თქვენ ხართ, სანამ არ გაარჩევს ბოროტს კეთილისაგან... (ალი იმრან 3:179)

ღმერთმა ისედაც იცის, ვინ რისი გამკეთებელია, გამოცდა არის იმისათვის, რათა გვაჩვენოს ვინ ვინ არის. გამოცდა არის იგივე ფიტნა (საცდური), და უკვე ვახსენეთ, რომ როდესაც ადამიანი მიიღებს ისლამს, ის ცხოვრების ბოლომდე სხვადასხვა რამეებით გამოიცდება.

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ერთ-ერთ ჰადისში თქვა:

تُعْرَضُ الْفِتَنُ عَلَى الْقُلُوبِ كَالْحَصِيرِ عُودًا عُودًا

ფითნეები კაცის გულს ისე წარუდგება, როგორც ლერწმის ღეროებია ერთმანეთის მიყოლებით ჩალაგებული"
(მუსლიმი 144)

ალლაჰმა უკეთ იცის.

### არავის შეევედრო ერთი ღმერთის გარდა

وَأَنَّ ٱلْمَسَٰجِدَ لِلَّهِ فَلَا تَدْعُوا۟ مَعَ ٱللَّهِ أَحَدًا

ჭეშმარიტად, სალოცავები ალლაჰისაა და ნუ მოუხმობთ ალლაჰთან ერთად ვინმეს. (ჯინ 72:18)
როდესაც იუდეველები და ქრისტიანები შედიოდნენ მათ სინაგოგებში და ეკლესიებში, ისინი ღმერთს თანაზიარს უდგენდნენ. ამიტომ ალლაჰმა უბრძანა თავის შუამავალს ეთქვა მათთვის, რომ გამოერჩიათ ერთი ღმერთი თაყვანისცემაში. (იბნ ქასირ)

قُلْ إِنَّمَآ أَدْعُوا۟ رَبِّى وَلَآ أُشْرِكُ بِهِۦٓ أَحَدًا

უთხარი: მე მხოლოდ ჩემს ღმერთს მოვუხმობ და არავის ვუდგენ მას თანაზიარად. (ჯინ 72:20)

როდესაც წარმართებმა ზიანი მიაყენეს შუამავალს, დაუპირისპირდნენ, უარყვეს და წავიდნენ მის წინააღმდეგ, რათა ჩაეფარცხათ ის სიმართლე რითაც მოვიდა და როცა გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ, მათ უთხრა შუამავალმა:

إِنَّمَآ أَدْعُواْ رَبِّى

„მე მხოლოდ ჩემს ღმერთს მოვუხმობ„

- და ეს ნიშნავს: მე მხოლოდ ჩემს ღმერთს ვეთაყვანები და არ ვუდგენ მას თანაზიარს, მისგან ველი დახმარებას და მასზე ვარ მინდობილი.
(იბნ ქასირ)

## ვინც მოკვდა ისე, რომ ღმერთს თანაზიარს უდგენდა.

აბდულლაჰი გადმოსცემს , რომ ალლაჰის შუამავალმა ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) თქვა:

مَنْ مَاتَ يُشْرِكُ بِاللَّهِ شَيْئًا دَخَلَ النَّارَ ". وَقُلْتُ أَنَا مَنْ مَاتَ لاَ يُشْرِكُ بِاللَّهِ شَيْئًا دَخَلَ الْجَنَّةَ.

*ვინც მოკვდა ისე, რომ ალლაჰს თანაზიარს უდგენდა - შევა ცეცხლში. მე ვთქვი: ვინც მოკვდა ისე, რომ არ უდგენდა ალლაჰს თანაზიარს - შევა სამოთხეში. (ბუხარი 1238)*

ვაქი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) თქვა:

مَنْ مَاتَ يُشْرِكُ بِاللَّهِ شَيْئًا دَخَلَ النَّارَ " . وَقُلْتُ أَنَا وَمَنْ مَاتَ لاَ يُشْرِكُ بِاللَّهِ شَيْئًا دَخَلَ الْجَنَّةَ

*ჵინც გარდაიცვლება ისე, რომ ღმერთს თანაზიარს უდგენდა, შევა ცეცხლში. იბნ მას ’უდმა დაამატა: ვინც გარდაიცვლება ისე, რომ ღმერთს თანაზიარს არ უდგენდა, შევა სამოთხეში. (მუსლიმი 92)*

## ვინც ღმერთის წინაშე წარსდგება შირქის გარეშე

ანას იბნ მალიქი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) თქვა: *ალლაჰი ამბობს: ჰეი ადამის შვილო, რამდენჯერაც შემევედრები და გექნება ჩემი იმედი, მე გაპატიებ, რაც გექნება ჩადენილი ყურადღებას არ მივაქცევ. ჰეი ადამის შვილო, შენი ცოდვები რომ აღწევდეს ზეცის ღრუბლებს, და შემდეგ მთხოვო პატიება, მე შენ გაპატიებ და არაფერს*

*მივაქცევ ყურადღებას. ჰეი ადამის შვილო თუ შენ მოხვალ ჩემთან დედამიწის ოდენა ცოდვებით და წარსდგები ისე, რომ ჩემთვის თანაზიარი არ დაგიდგენია მე გიწყალობებ იმხელავე მიტევებას . (თირმიზი 3540)*

### ვინც შეხვდება ალლაჰს შირქით და შირქის გარეშე

ჯაბირ ბინ ‘აბდულლაჰი გადმოსცემს: გავიგონე ალლაჰის შუამავალმა (ღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ لَقِيَ اللَّهَ لاَ يُشْرِكُ بِهِ شَيْئًا دَخَلَ الْجَنَّةَ وَمَنْ لَقِيَهُ يُشْرِكُ بِهِ دَخَلَ النَّارِ

*ვინც შეხვდება ღმერთს ისე, რომ არ უდგენდა მას თანაზიარს, შევა სამოთხეში. და ვინც შეხვდება ისე, რომ უდგენდა მას თანაზიარს, შევა ცეცხლში. (მუსლიმი 93)*

### არ დაუდგინო ალლაჰს თანაზიარი თუნდაც ამისათვის მოგკლან

აბუ დარდა გადმოგვცემს: `ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ასეთი რჩევა მომცა:

لاَ تُشْرِكْ بِاللَّهِ شَيْئًا وَإِنْ قُطِّعْتَ وَحُرِّقْتَ وَلاَ تَتْرُكْ صَلاَةً مَكْتُوبَةً مُتَعَمِّدًا فَمَنْ تَرَكَهَا مُتَعَمِّدًا فَقَدْ بَرِئَتْ مِنْهُ الذِّمَّةُ وَلاَ تَشْرَبِ الْخَمْرَ فَإِنَّهَا مِفْتَاحُ كُلِّ شَرٍّ

არაფერი დაუდგინო ალლაჰს თანაზიარად, თუნდაც ნაკუწებად გაქციონ ან დაგწვან. და არ უგულებელყო ლოცვა შეგნებულად. რადგან ვინც ლოცვას უგულებელყოფს ალლაჰის მფარველობიდან შორს დარჩება, არ დალიო ალკოჰოლი, რადგან ის არის ყოველი ბოროტების გასაღები.
(იბნ მაჯა 36:4034)

ტარიყ იბნ შიჰაბი გადმოსცემს: `ერთხელ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ერთი ბუზის საბაბით ერთი კაცი სამოთხეში შევიდა, მეორე კი – ჯოჯოხეთში. ხალხმა იკითხა – ეს როგორ? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: წარმართთა ტომს ჰქონდათ კერპი, რომელსაც ეკუთვნოდა გზა და არავის არ უშვებდნენ ამ გზაზე, თუ ამ კერპს მსხვერპლს არ შესწირავდა. ორი მოგზაური მოხვდა ამ გზაზე და მათ უთხრეს – შესწირეთ მსხვერპლი რომ გაგატაროთო. პირველმა მოგზაურმა იუარა – თან არაფერი მყავს ცხოველი, რომ შევწიროო. წარმართებმა უთხრეს – ბუზი მაინც შესწირეო. კაცმაც შესწირა ბუზი, გააგრძელა გზა, გზაზე სიკვდილი ეწია და შეიქნა ჯოჯოხეთის მკვიდრი. მეორე მოგზაურმა კი უარი თქვა – მე ღმერთის გარდა არასოდეს

არავის არ შევწირავ მსხვერპლსო. ამიტომ მას წარმართებმა თავი მოჰკვეთეს და იგი სამოთხის მკვიდრი შეიქნა. (აზ-ზუჰდ, 1/15)

*უმარ იბნ ალ ხატტაბმა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) თქვა: ჩაეჭიდე ჭეშმარიტებას, თუნდაც ჭეშმარიტებამ შენ მოგკლას. (რავდა ალ-უყალა 77-78)*

**დაფიცება**

დაფიცება არის ბევრნაირი. ზოგი იფიცება დედაზე, მამაზე, მამის თუ დედის სულზე, მამის თუ დედის საფლავზე და ა.შ. ამ სახის ყველა დაფიცება არის შირქი და აკრძალული.

იბნ უმარი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

لاَ تَحْلِفُوا بِآبَائِكُمْ، وَمَنْ كَانَ حَالِفًا فَلْيَحْلِفْ بِاللَّ

არ დაიფიცოთ თქვენი მამები. ვისაც სურს დაფიცება, დაიფიცოს მხოლოდ ღმერთი. (ბუხარი 7401)

სა’იდ იბნ უბაიდი გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ حَلَفَ بِغَيْرِ اللَّهِ فَقَدْ أَشْرَكَ

ვინც დაიფიცა ღმერთის გარდა სხვა ვინმე, მან ღმერთს თანაზიარი დაუდგინა. (აბუ დავუდი 3251)

უნდა ერიდო ღმერთზე ხშირად დაფიცებას. სალმან ალ-ფარისი გადმოსცემს: `გავიგონე ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვები: ამ სამნაირ ადამიანს არ დაელაპარაკება და არ განწმენდს ღმერთი განკითხვის დღეს: მოხუცებულ მრუშს, ამპარტავან მათხოვარსა და ადამიანს, ვინც ღმერთი თავის სავაჭრო საქონლად აქცია – იგი არც იყიდის და არც გაყიდის რაიმეს, რომ არ დაიფიცოს ღმერთი. (ალ-ჰაისამი 4/78)
*მოერიდე ღმერთზე დაფიცებას შენი მიზნებისთვის.*

აბუ ყათადა გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

إِيَّاكُمْ وَكَثْرَةَ الْحَلِفِ فِي الْبَيْعِ فَإِنَّهُ يُنَفِّقُ ثُمَّ يَمْحَقُ

მოერიდეთ ბევრ დაფიცებას ვაჭრობის დროს. მისით შესაძლოა ნახო მოგება, მაგრამ დაკარგავ წყალობას. (მუსლიმი 1607)

ზიაედდინ ალ-ყუდსი თავის წიგნში „ლა უზრან الجهل ليس عذرا წერდა:

პატარა შირქი არის ისეთი საქმეების კეთება, რომელიც არ აღწევს ალლაჰის გარდა სხვა თაყვანისცემის დონეს, როგორიცაა რიია (საჩვენებელი საქმეები) და ვინმეზე დაფიცება ალლაჰის გარდა.

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვინც დაიფიცა ღმერთის გარდა სხვა ვინმე, მან ღმერთს თანაზიარი დაუდგინა. (აბუ დავუდი 3251)

ასევე სიტყვები, როგორიცა 'თუ ინებებს ალლაჰი და შენ' ასევე, 'ეს არის შენგან და ალლაჰისგან' 'ჩემთვის მხოლოდ ალლაჰი და შენ არსებობთ' 'მე ვენდობი ალლაჰს და შენ' 'შენ რომ არა ასე იქნებოდა და არ მოხდებოდა' ასეთი სიტყვები არის პატარა შირქი.
`ერთხელ ერთმა ადამიანმა უთხრა შუამავალს: თუ ინებებს ღმერთი და შენ! ამის პასუხად შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უთხრა: როგორ? მე ღმერთთან მათანასწორებ? თუ ინებებს მხოლოდ ღმერთი! (აჰმადი 1/214)
თუ ყოველ სიტყვაში, საქციელში ან რწმენაში არის შირქი და ის არ აღწევს დიდი შირქის დონემდე, მაშინ ის არის პატარა შირქი. (ზიაედდინ ალ-ყუდსი)

# თაყვანისცემის ფორმები

თაყვანისცემის ფორმები დადგინდა ისლამში, და რა არის ისლამი?
ჯიბრილმა ჰკითხა შუამავალს:
ჰკითხა: ალლაჰის შუამავალო, რა არის ისლამი? შუამავალმა უთხრა:

الإِسْلاَمُ أَنْ تَعْبُدَ اللَّهَ وَلاَ تُشْرِكَ بِهِ، وَتُقِيمَ الصَّلاَةَ، وَتُؤَدِّيَ الزَّكَاةَ الْمَفْرُوضَةَ

*არ დაუდგინო ალლაჰს არაფერი თანაზიარად, დადგე სალოცავად, გადაიხადო ზექათი და მარხვა დაიცვა რამადანში. (ბუხარი 50)*

თაყვანისცემის ფორმები ბევრნაირია, ესენია:

**1. ვედრება.**

وَمَن يَدْعُ مَعَ ٱللَّهِ إِلَـٰهًا ءَاخَرَ لَا بُرْهَـٰنَ لَهُۥ بِهِۦ فَإِنَّمَا حِسَابُهُۥ عِندَ رَبِّهِۦٓ ۚ إِنَّهُۥ لَا يُفْلِحُ ٱلْكَـٰفِرُونَ

*და ის, ვინც უხმობს ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაებას, და ამის მტკიცებულება არ გააჩნია... მისი ანგარიში მისი ღმერთის წინაშეა. უეჭველად, ნეტარ არ იქნებიან ურწმუნონი. (მუმინუნ 23:117)*

ყოველი, ვინც თაყვანისცემის რომელიმე ფორმას მიმართავს ღმერთის გარდა სხვა ვინმეს მიმართ, არის შირქში მყოფი და ამგვარად, ურწმუნო.

**2. შიში.**

إِنَّمَا ذَٰلِكُمُ ٱلشَّيْطَٰنُ يُخَوِّفُ أَوْلِيَآءَهُ فَلَا تَخَافُوهُمْ وَخَافُونِ إِن كُنتُم مُّؤْمِنِينَ

*ეშმაკი გაშინებთ მისი მიმდევრებით. ნუ გეშინიათ მათი. ჩემი გეშინოდეთ თუკი მორწმუნენი ხართ. (ალი იმრან 3:175)*

ამ აიათში იგულისხმება შიში, რომლითაც ისეთი შიშით გეშინია ურწმუნოების და შეიტანისაც როგორი შიშითაც უნდა გეშინოდეს ალლაჰის. ადამიანს ეშინია დათვის, გველის, მგელის და ა.შ თუმცა ასეთი სახის შიში შირქი არ არის.

**3. იმედოვნება**

فَمَن كَانَ يَرْجُوا۟ لِقَآءَ رَبِّهِۦ فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَٰلِحًا وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِۦٓ أَحَدًۢا

*და იმან, ვინც იმედოვნებს თავის ღმერთთან შეხვედრას, დაე მართალი საქმე აკეთოს და ნურავის დაუდგენს თანაზიარად თავის ღმერთს თაყვანისცემაში. (ქაჰფ 18:110)*

**4. მინდობა**

فَمَن كَانَ يَرْجُوا۟ لِقَآءَ رَبِّهِۦ فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَٰلِحًا وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِۦٓ أَحَدًۢا

*და ალლაჰს მიენდეთ , თუკი ხართ მორწმუნენი!“ (მაიდე 5:23)*

აქ საუბარია ისეთ მინდობაზე და თავაქულზე რომელი თავაქულიც ეკუთვნის ალლაჰს. თუ ადამიანს აქვს მეგობრობის იმედი, რომ გაჭირვების დროს გვერდით დაუდგება, ეს შირქი არ არის. რათქმაუნდა მორწმუნეს როცა გაუჭირდება პირველ რიგში ღმერთს ევედრება და შემდეგ თხოვნით მიმართავს თავის მეგობარს და ა.შ

وَقَالَ مُوسَىٰ يَٰقَوْمِ إِن كُنتُمْ ءَامَنتُم بِٱللَّهِ فَعَلَيْهِ تَوَكَّلُوٓا۟ إِن كُنتُم مُّسْلِمِينَ

*და თქვა მუსამ: ჰეი ჩემო ხალხო, თუ ირწმუნეთ ალლაჰი, მისი იმედი იქონიეთ, თუკი მუსლიმები ხართ! (იუნუს 10:84)*

**5. იმედი, 6. მოკრძალება, 7. რიდი ერთ აიათში.**

فَٱسْتَجَبْنَا لَهُۥ وَوَهَبْنَا لَهُۥ يَحْيَىٰ وَأَصْلَحْنَا لَهُۥ زَوْجَهُۥٓ ۚ إِنَّهُمْ كَانُوا۟ يُسَـٰرِعُونَ فِى ٱلْخَيْرَٰتِ وَيَدْعُونَنَا رَغَبًا وَرَهَبًا ۖ وَكَانُوا۟ لَنَا خَـٰشِعِينَ

*ვისმინეთ მისი, ვუბოძეთ მას იაჰია და სარგებლიანი გავხადეთ მისთვის მისი ცოლი. ჭეშმარიტად, ისინი ესწრაფოდნენ კეთილი საქმის კეთებას. გვიხმობდნენ ჩვენ იმედითა და შიშით და იყვნენ ჩემდამი მოკრძალებულნი. (ენბია 21:90)*

**8. მონანიება**

وَأَنِيبُوٓا۟ إِلَىٰ رَبِّكُمْ وَأَسْلِمُوا۟ لَهُۥ مِن قَبْلِ أَن يَأْتِيَكُمُ ٱلْعَذَابُ ثُمَّ لَا تُنصَرُونَ

*და მიბრუნდით თქვენი ღმერთისკენ მონანიებით და მას დაემორჩილეთ, ვიდრე დაგატყდებოდეთ სასჯელი, მერე კი აღარ იქნებით შეწევნულნი. (ზუმერ 39:54)*

**9. დახმარების ძიება**

إِيَّاكَ نَعْبُدُ وَإِيَّاكَ نَسْتَعِينُ

*მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს, და მხოლოდ შენ გთხოვთ შეწევნას (ფაათიჰა 1:5)*

ალლაჰის შუმავალმა ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა :

وَإِذَا اسْتَعَنْتَ فَاسْتَعِنْ بِاللَّهِ

*როდესაც ითხოვ დახმარებას, ითხოვე ალლაჰისგან (თირმიზი 2516)*

**10. მფარველის ძიება**

قُلْ أَعُوذُ بِرَبِّ ٱلْفَلَقِ

*თქვი: მივეკედლები აისის უფალს (ფალაყ 113:1)*

قُلْ أَعُوذُ بِرَبِّ ٱلنَّاسِ

*თქვი : მივეკედლები ღმერთს ადამიანთა (ნაას 114:1)*

**11. გასაჭირში დამხმარის ძიება**

إِذْ تَسْتَغِيثُونَ رَبَّكُمْ فَٱسْتَجَابَ لَكُمْ أَنِّى مُمِدُّكُم بِأَلْفٍ مِّنَ ٱلْمَلَـٰٓئِكَةِ مُرْدِفِينَ

*და შველა სთხოვეთ თქვენს ღმერთს და მან გიპასუხათ: მე შეგეწევით ათასი ანგელოზით, ერთმანეთის მიყოლებითო (ანფალ 8:9)*

**12. მსხვერპლშეწირვა (ყურბანი)**

فَصَلِّ لِرَبِّكَ وَٱنْحَرْ

*ილოცე შენი ღმერთისათვის და მას შესწირე (შესაწირი). ( ქავსარ 108:2)*

قُلْ إِنَّ صَلَاتِى وَنُسُكِى وَمَحْيَاىَ وَمَمَاتِى لِلَّهِ رَبِّ ٱلْعَـٰلَمِينَ

*უთხარი: ჭეშმარიტად, ჩემი ლოცვა, ჩემი შესაწირი, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი სამყაროთა ღმერთის, ალლაჰისთვისაა. (ან’ამ 6:162)*

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

لَعَنَ اللَّهُ مَنْ لَعَنَ وَالِدَهُ وَلَعَنَ اللَّهُ مَنْ ذَبَحَ لِغَيْرِ اللَّهِ وَلَعَنَ اللَّهُ مَنْ آوَى مُحْدِثًا وَلَعَنَ اللَّهُ مَنْ غَيَّرَ مَنَارَ الأَرْضِ

*ღმერთმა დასწყევლა ის, ვინც დასწყევლა მისი მშობლები, და ღმერთმა დასწყევლა ის , ვინც მსხვერპლი (ყურბანი) შესწირა სხვას ალლაჰის გარდა, ღმერთმა დასწყევლა  ის, ვინც შეიფარა სიახლის შემომტანი და ღმერთმა დასწყებლა ის, ვინც უკანონოდ გადაანაცვლა მიწის ნაკვეთის საზღვრები. (ნასაი 4422)*

**14.აღთქმა**

აიშა გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ نَذَرَ أَنْ يُطِيعَ اللَّهَ فَلْيُطِعْهُ، وَمَنْ نَذَرَ أَنْ يَعْصِيَ اللَّهَ فَلاَ يَعْصِهِ

*`მან, ვინც აღუთქვა ღმერთს მორჩილება, დაე, იყოს ღმერთის მორჩილი. ხოლო მან, ვინც აღუთქვა ღმერთს ურჩობა, ნუ ეურჩება ღმერთს. (აბუ დავუდი 3289)*

ყველა თაყვანისცემა უნდა მიმართული მხოლოდ ალლაჰისკენ. მისადმი

თაყვანისცემაში არ არის საჭირო არავითარი შუამდგომელი როგორც სუფისტები ასრულებენ და იდგენენ შუამდგომელს ალლაჰსა და მათ შორის. მათი ეს მოქმედება ერთ - ერთია იმათგან, რომელიც ეწინააღმდეგება ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) მოტანილ თავჰიდს და სწორ რწმენას. უზენაესი ალლაჰი ამბობს, რომ არსებობს ისეთი ხალხი, ვინც ამბობს ვირწმუნეთო, თუმცა ალლაჰს თანაზიარს უდგენენ.

وَمَا يُؤْمِنُ أَكْثَرُهُم بِٱللَّهِ إِلَّا وَهُم مُّشْرِكُونَ

*მათგან უმეტესი ისე არ ირწმუნებს ალლაჰს, თუკი მას თანაზიარს არ დაუდგენენ. (იუსუფ 12:106)*

თუ თაყვანისცემაში შეერევა შირქი, მას არ ეწოდება სწორი თაყვანისცემა და ალლაჰი მას არ ღებულობს, რამეთუ ასეთი სახის თაყვანისცემის შემსრულებელი ადამიანი ხდება ურწმუნო და მისი საქმეები ბათილდება. ალლაჰმა მუჰამმადი წარმოგზავნა შუამავლად (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სამყაროთა წყალობად, როგორც ალლაჰმა გვაცნობა:

وَمَآ أَرْسَلْنَٰكَ إِلَّا رَحْمَةً لِّلْعَٰلَمِينَ

*და არ წარგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მოწყალებად სამყაროთათვის! ( ენბია 21:107)*

და ამის მიუხედავად ალლაჰის შუამავალს ეუბნება უზენაესი ალლაჰი, რომ თუ მას თანაზიარს დაუდგენს მისი საქმეები ფუჭი გახდება:

وَلَقَدْ أُوحِىَ إِلَيْكَ وَإِلَى ٱلَّذِينَ مِن قَبْلِكَ لَئِنْ أَشْرَكْتَ لَيَحْبَطَنَّ عَمَلُكَ وَلَتَكُونَنَّ مِنَ ٱلْخَٰسِرِينَ

*და ვფიცავ, ზეშთაგეგონა შენ და იმათ, ვინც იყვნენ შენზე უწინ: თუკი დაუდგენ ( ალლაჰს ) თანაზიარს, ამაო გახდება შენი საქმენი და აღმოჩნდები წაგებულთა შორის.*

بَلِ ٱللَّهَ فَٱعْبُدْ وَكُن مِّنَ ٱلشَّٰكِرِينَ

*თაყვანი ეცი ალლაჰს და იყავი მადლიერთაგანი. (ზუმარ 39:65-66)*

და მაშინ რა უნდა ითქვას ჩვეულებრივ ხალხზე? ეს აიათები იმაზე მიგვითითებს, რომ თავჰიდის დაცვა, შირქისგან და შირქის ჩამდენი და

ხალხისგან განრიდება ძალზედ სერიოზული და დასაფიქრებელისაკითხია. ალლაჰი ამბობს, რომ თუ თაყვანისცემაში შეერევა შირქი მას არ ვღებულობ, ხოლო გზააბნეულები ამბობენ: ’ არა , ასეთი თაყვანისცემა მიღებულია ’. ნუთუ თქვენ ასწავლით ალლაჰს სარწმუნოებას? ნუთუ თქვენ უკეთ იცით ისლამური სარწმუნოება თუ ალლაჰმა?

قُلْ أَتُعَلِّمُونَ ٱللَّهَ بِدِينِكُمْ وَٱللَّهُ يَعْلَمُ مَا فِى ٱلسَّمَـٰوَٰتِ وَمَا فِى ٱلْأَرْضِ ۚ وَٱللَّهُ بِكُلِّ شَىْءٍ عَلِيمٌ

*უთხარი: განა თქვენ ასწავლით ალლაჰს თქვენს სარწმუნოებას? მაშინ, როცა ალლაჰმა იცის, რაც ცათა შინაა და და რაც ქვეყანასა ზედაა და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა. (ჰუჯურათ 49:16)*

ალლაჰმა თავისი ცოდნით და სიბრძნით გვაცნობა, რომ შირქს არ ღებულობს თაყვანისცემად და შირქით ადამიანი შორდება მას და ვერ უახლოვდება რამდენიც არ უნდა შეასრულოს. თაყვანისცემის ფორმაა ალლაჰის წინაშე სეჯდის გაკეთება და სეჯდის მდგომარეობაში ვედრების წარმოთქმა.

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

أَقْرَبُ مَا يَكُونُ الْعَبْدُ مِنْ رَبِّهِ وَهُوَ سَاجِدٌ فَأَكْثِرُوا الدُّعَاءَ

*(ალლაჰის) მსახური თავის ღმერთთან ყველაზე ახლოს მაშინ არის , როდესაც სეჯდეს ასრულებს, და ამ მდგობარეობაში ბევრი ვედრება გააკეთეთ. (მუსლიმი 482)*

ასევე თაყვანისცემისა და ალლაჰის განდიდების ფორმაა სურა ფაათიჰას კითხვა.
აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: „ვინცასრულებს ნებისმიერ ლოცვას, რომელშიც მან არ წაიკითხა უმმ ალ ყურანი, (ე.ი სურა ფაათიჰა) მისი ლოცვა იქნება არასრული. აბუ ჰურაირამ ჰკითხა: როდესაც ჩვენ ვდგავართ იმამის უკან? მან თქვა: წაიკითხეთ თქვენთვის. გავიგონე ალლაჰის შუამავალი სიტყვები, რომ ალლაჰმა თქვა: “ლოცვა გავყავი ორ ნაწილად ჩემსა და ჩემს მსახურს შორის. და ჩემს მსახურს ექნება ის, რასაც მთხოვს. თუ ის იტყვის: 'ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს’ ესეიგი ჩემმა მსახურმა შემაქო მე.” როდესაც მსახური იტყვის:

მოწყალესა, მწყალობელსა, ჩემმა მსახურმა განმადიდა მე. როდესაც ის იტყვის, **სამსჯავროს დღის მბრძანებელსა.** ალლაჰი იტყვის ჩემმა მსახურმა განმადიდა მე ან ჩემი მსახური აკავშირებს ამ ყველაფერს ჩემთან. როცა ის იტყვის: **'მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს, და მხოლოდ შენ გთხოვთ შეწევნას**' ალლაჰი იტყვის: ეს არის ჩემსა და ჩემს მსახურს შორის, და მსახური მიიღებს იმას, რასაც ეძებდა. როცა ის იტყვის, გვიწინამძღვრე პირდაპირი გზით. იმათი გზით, რომელთაც მიეცი მოწყალება, არა - შერისხულთა და არცა - გზააბნეულთა, ალლაჰი იტყვის ეს არის ჩემი მსახურისთვის, და ჩემი მსახური მიიღებს იმას რასაც ეძებდა. (მუსლიმ 395)

ასევე იჰსანი არის თაყვანისცემა იჰსანი არის თაყვანისცემა ერთადერთ ღმერთზე ისე, თითქოს ხედავ მას. ჯიბრილმა ჰკითხა შუამავალს: რა არის იჰსანი? შუამავალმა უპასუხა:

أَنْ تَعْبُدَ اللَّهَ كَأَنَّكَ تَرَاهُ، فَإِنْ لَمْ تَكُنْ تَرَاهُ فَإِنَّهُ يَرَاكَ

*თაყვანი სცე ალლაჰს ისე თითქოს ხედავ მას, და შენ თუ ვერ ხედავ მას, მაშინ გახსოვდეს, რომ ის გხედავს შენ. (ბუხარი 50)*

ასევე უნდა ვიცოდეთ , რომ თაყვანისცემა არ არის მხოლოდ ლოცვა, ზიქრი, მარხვა და ა.შ.

მაშ კიდევ რა არის და რაში ვლინდება თაყვანისცემა?

1. ადამიანი დღეში შეიძლება მუშაობდეს ექვსი, შვიდი, რვა ან მეტი საათი, ასევე ქალი შეიძლება შვილს და სახლის საქმეებს უთმობდეს დღის ნახევარს. მაგრამ ადამიანი ვერ ილოცავს ექვს ან შვიდი საათი.

ალლაჰმა მოიღო მოწყალება ჩვენზე, რითაც მიგვითითა, რომ ადამიანი მუშაობითაც, ძილითაც, განზრახვითაც, და ოჯახური ცხოვრებითაც მიიღებს ჯილდოს და ჩაეთვლება თაყვანისცემაში, თუ მისი განზრახვა არ იქნება სხვის დასანახად მოქმედება. ახლა კი ავხსნათ რა არის თაყვანისცემა:

'იბადა (ე.ი თაყვანისცემა) არაბულ ენაში ნიშნავს დამორჩილებას და მოკრძალებას . ისლამური გაგებით სიტყვა 'იბადა გამოიყენება ორი მნიშვნელობით:

ა. ადამიანის ქმედებები, როგორიცაა ლოცვა ან ზექათის გაცემა. სწავლულებმა ასე ახსნეს 'იბადათი: 'იბადათი არის ალლაჰისადმი მორჩილება, იმის შესრულება რაც მან ბრძანა და იმაზე მორიდებას, რაც მან აკრძალა, ალლაჰის სიყვარული, მისი შიში და მასზემინდობა.

ბ. ეს ასევე არის მოქმედებები, როგორიცაა ლოცვა, ზექათი და ა.შ. სწავლულებმა ასე განმარტეს: ეს არის ყოვლისმომცველი სიტყვა, რომელიც მოიცავს ყველა სიტყვას და საქმეს, რომელიც ღმერთს უყვარს და რომლითაც კმაყოფილია, როგორც გარეგნული ასევე ადამიანის შინაგანი მდგომარეობა. ასეთი დავალებული საქმეების შესრულებას ეწოდება 'იბადათი, ვინაიდან ადამიანები ამას აკეთებენ თავმდაბლობით და სიყვარულით მათი ღმერთის მიმართ. ალლაჰისადმი თაყვანისცემა უნდა იყოს სიყვარულზე და მორჩილებაზე დაფუძნებული. ჩვენმა ღმერთმა გვაცნობა, რომ ადამიანები და ჯინები მისადმი თაყვანისცემისთვის შექმნა:

وَمَا خَلَقْتُ ٱلْجِنَّ وَٱلْإِنسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ! (ზარიათ 51:56)

როგორ შეიძლება მივაღწიოთ დასახულ მიზანს და შევასრულოთ იგი? ბევრს ჰგონია, რომ 'იბადათი მხოლოდ შესრულებულ რიტუალებს ეხება, რომლებიც ალლაჰმა ბრძანა, რომ უნდა შესრულდეს გარკვეულ დროს - როგორიცაა ლოცვა, მარხვა და ჰაჯი და საქმე ამით მთავრდებაო, მაგრამ ისე არ არის როგორც ისინი ფიქრობენ. მაშინ, რამდენი დრო სჭირდება თაყვანისცემის რიტუალებს ყოველდღე და ღამით? ადამიანი მხოლოდ ლოცვით და ზიქრით უნდა იყოს დაკავებული? და მისი დანარჩენი ენერგია? მისი დანარჩენი დრო? თუ ის მის ენერგიას და დროს დახარჯავს თაყვანისცემის გარდა სხვა საქმეებში, მაშინ როგორ უნდა მიაღწიოს იმ მიზანს რისთვის შეიქმნა კაცობრიობა? როგორ უნდა შეასრულოს ალლაჰის მიერ ნათქვამი, როცა მთელი სიცოცხლე ალლაჰისთვისაა, როგორც აიათშია:

قُلْ إِنَّ صَلَاتِى وَنُسُكِى وَمَحْيَاىَ وَمَمَاتِى لِلَّهِ رَبِّ ٱلْعَٰلَمِينَ

უთხარი: ჭეშმარიტად, ჩემი ლოცვა, ჩემი შესაწირი, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი (ან 'ამ 6:162)

'უბუდია (თაყვანისცემა) არის აბსოლიტური საკითხი, რომელიც მოიცავს მუსლიმანთა ცხოვრებას, და როდესაც მუსლიმანი შრომობს მიწაზე სარჩოს საძიებლად , ის ამით თაყვანს სცემს ალლაჰს, რადგან ალლაჰმა უბრძანა მას ამის გაკეთება, როგორც უზენაესი ამბობს თავის წიგნში:

هُوَ ٱلَّذِى جَعَلَ لَكُمُ ٱلْأَرْضَ ذَلُولًا فَٱمْشُواْ فِى مَنَاكِبِهَا وَكُلُواْ مِن رِّزْقِهِۦ ۖ وَإِلَيْهِ ٱلنُّشُورُ

იგია, ვინც დაადგინა თქვენთვის დედამიწა მორჩილად. იარეთ მასზე და ჭამეთ მისი სარჩოსაგან და მის (ალლაჰის) წინაშეა — შეკრება. (მულქ 67:15)

როდესაც მუსლიმანი იძინებს იმისთვის, რომ აღიდგინოს ენერგია რათა მერე თაყვანისცეს ალლაჰს, ის ძილშიც ალლაჰის თაყვანისმცემლად ითვლება, როგორც მუაზ იბნ ჯაბალმა თქვა:

*'მე მაქვს ჯილდო ჩემი ძილისთვის, ისევე როგორც ლოცვაზე დგომით ' (ბუხარი 4342)*

მუსლიმი ჭამით, სმით და ცოლ - ქმრული ურთიერთობითაც დაიმსახურებს კეთილ საქმეებს, როგორც ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) თქვა:

*'(ჰალალი) ინტიმურ კავშირები არის ქველმოქმედება(ე,ი მადლი/სიკეთე). საჰაბეებმა უთხრეს: ალლაჰის შუამავალო, ნუთუ დავჯილდოვდებით იმისათვის, თუ ჩვენს სურვილებს დავიკმაყოფილებთ? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უთხრა მათ: როგორ ფიქრობთ, თუ ამ გზით (ე . ი მრუშობის გზით) ჰარამს ჩაიდენთ, გექნებათ თუ არა ცოდვის ტვირთი ?' საჰაბეებმა უთხრეს: დიახ, გვექნება. ამაზე შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უთხრა: 'თუკი ჰალალს გააკეთებთ, გექნებათ ჯილდო ' (მუსლიმი 1006)*

ამ დიდ მიზანს მიაღწევს მაშინ, როცა ადამიანსყოველთვის ემახსოვრება თავისი ღმერთი ცხოვრების ყველა ეტაპზე, რასაც არ უნდა აკეთებდეს და ჰკითხოს საკუთარ თავს, არის თუ არა ისეთ სიტუაციაში, რითაც კმაყოფილი იქნება თავისი ღმერთი. თუ ისეთ სიტუაციაშია რითაც ალლაჰი იქნება მისგანკმაყოფილი, მაშინ ადიდოს მან თავისი ღმერთი და მეტი სიკეთე აკეთოს. თუ ასე არ არის, მაშინ, პატიებს სთხოვოს მის ღმერთს და მოინანიოს ისე, როგორც აღწერს ალლაჰი თავის ღვთისმოსავ მსახურებს:*ხოლო ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიავე ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ ალლაჰი და შესთხოვონ პატიება ცოდვებისათვის. ხოლო ვინ მიუტევებს ალლაჰის გარდა? და არ გაიმეორებენ (დაჟინებით) იმას, რაც ჩაიდინეს მაშინ როცა მათ იციან. მათი საზღაური მიტევებაა მათი , ღმერთისგან და სამოთხეები, რომელთა ძირს მიედინებიან მდინარეები იქნებიან იქ მარადიულად, და რა მშვენიერი საზღაურია მშრომელთათვის. (ალი იმრან 3:135-136)* ასე გაიგეს სალაფებმა 'იბადათი. ისინი არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რიატუალებით და იმ დადგენილი დროებით, როცა სრულდება ეს რიტუალები. მათი ცხოვრება იყო თაყვანისცემა, და დადგენილი რიტუალების გარდა ასევე თაყვანისცემის სხვა საქმეებსაც აკეთებდნენ. ამიტომ ისინი ყურადღებას აქცევდნენ ყველაფერს. ალლაჰი ამბობს:

ٱلَّذِينَ يَذْكُرُونَ ٱللَّهَ قِيَـٰمًا وَقُعُودًا وَعَلَىٰ جُنُوبِهِمْ

*რომელნიც ახსენებენ ალლაჰს მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე ... ( ალი იმრან 3:191)*

მათ ალლაჰი ახსოვდათ ყველა ვითარებაში. ალლაჰის სიდიადის აღქმა და მისი შიში მუდმივად ჰქონდათ გულში, და თუ შეცდომას დაუშვებნენ, მაშინვე გამოასწორებდნენ თავს. და უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით თაყვანისმცემელია, მასში თაყვანისცემა ჩანერგილია. ამიტომ ის ან ალლაჰს ეთაყვანება ან მას თანაზიარს უდგენს . ალლაჰმა მისადმი თანაზიარის დადგენას, უწოდა შაიტანის ( სატანის ) მიმართ თაყვანისცემა, როგორც აიათშია:

أَلَمْ أَعْهَدْ إِلَيْكُمْ يَٰبَنِىٓ ءَادَمَ أَن لَّا تَعْبُدُوا۟ ٱلشَّيْطَٰنَ ۖ إِنَّهُۥ لَكُمْ عَدُوٌّ مُّبِينٌ

*განა არ გიბრძანეთ, ადამის შვილებო, რომ არ ეთაყვანოთ ეშმაკს? რამეთუ, იგი თქვენი აშკარა მტერია!*

وَأَنِ ٱعْبُدُونِى ۚ هَٰذَا صِرَٰطٌ مُّسْتَقِيمٌ

*და რომ თაყვანი მეცით მე, ესაა ჭეშმარიტი გზა!*
*(იასინ 36:60-61)*

ჩვენ კი ვთხოვთ ალლაჰს, დაგვლოცოს და მოგვცეს საშუალება სრულად დავემორჩილოთ მას და შეგვიყვანოს მის გულწრფელ მსახურთა და დაახლოებულთა შორის. იგია ყოვლისგამგონი, მარადიული და ძლევამოსილი. (ალ - უბუდია იბნ თაიმია 20-23)

## 2. ჯილდო ადამიანისა , რომელიც ხარჯავს საკუთარი ოჯახისთვის.

*სავბანი მოგვითხრობს, რომ შუამავალმა ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) თქვა: "საუკეთესო დინარი - ეს არის დინარი, რომელიც ადამიანმა დახარჯა საკუთარი ოჯახისთვის, დინარი - რომელიც ადამიანმა დახარჯა ცხოველზე, რომელსაც იყენებენ ალლაჰის გზაზე ბრძოლისთვის და დინარი - რომელიც ადამიანმა დახარჯა თავისი მეგობრებისთვის ალლაჰის გზაზე" (მუსლიმი 994)*

აბუ ყილაბამ თქვა: "შუამავალმა ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) დაიწყო მითითება ოჯახით . როგორმა ადამიანმა უნდა მიიღოს უფრო დიდი ჯილდო, ვიდრე ადამიანმა, რომელიც ხარჯავს თავისი პატარა შვილებისთვის , რათა დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები და გაანთავისუფლოს სხვა ადამიანებზე თხოვნისგან. ქა ' აბ იბნ 'უჯრამ ( ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მოგვითხრო: "მაშინ, როდესაც შუამავალი ( ალლაჰის ლოცვა და სალამი მას ) იმყოფებოდა თავისი საჰაბეების გარემოცვაში , მათ დაინახეს ამტანი და ძლიერი ახალგაზრდა მამაკაცი , რომელიც დილით ადრე გამოვიდა სახლიდან სარჩოს ( რიზღის ) საძიებლად და მათ (საჰაბეებმა) თქვეს: "ო , ნეტავ გამოეყენებინა მისი ძალა და ახალგაზრდობა ალლაჰის გზაზე " ამაზე შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მიუგო: "თუ ის გამოვიდა სახლიდან

სარჩოს საძიებლად თავისი პატარა ბავშვებისთვის - ალლაჰის გზაზეა . თუ ის სახლიდან გამოვიდა სარჩოს საძიებლად თავისი მოხუცი მშობლებისთვის - ალლაჰის გზაზეა. თუ ის სახლიდან გამოვიდა სარჩოს საძიებლად საკუთარი თავისთვის - ალლაჰის გზაზეა. ხოლო თუ ის გამოვიდა სახლიდან თვალთმაქცობისთვის (ხალხმა რომ ისაუბროს — როგორი მშრომელია, როგორი ძლიერია) მაშინ ის შაიტანის გზაზეა. (ტაბარანი წიგნში ალ ქაბირ 19/129)

იმამ ან ნავავიმ სიტყვებზე 'ის ალლაჰის გზაზე' თქვა:"იმ გზაზე, რასაც ის აკეთებს მიიღებს იგივე ჯილდოს, როგორც ალლაჰის გზაზე გამცემი ადამიანი". (ფაიდულ - ყადირ 2669)

ჩვენ უკვე ავხსენით და დავამტკიცეთ, თუ რა არის თავჰიდი. დაე განსაჯოს გონების მქონემ და დაინახოს ვინ არის თავჰიდის მიმყოლი და ვინ შირქის. თუკი შეიმეცნე თავჰიდი და მისი მნიშვნელობა, ასევე თუკი შეიმეცნე შირქი და მისი სიცრუე და სიყალბე, მაშინ უნდა ანსხვავებდე თავჰიდისა და შირქის მიმყოლებს. თუკი ვერ ანსხვავებ, მაშინ, შენ თავჰიდი ვერ გაგიგია.

აბდურრაჰმან ბინ ჰასანმა თქვა: როგორ ამტკიცებთ თავჰიდის ცოდნას, მაშინ, როცა ერთმანეთისგან ვერ არჩევთ თავჰიდის ხალხს და მის მოწინააღმდეგეებს? (დურარ ას-სანია 8:189)

და თუკი შენ გსურს გამოხვიდე შირქის სიბნელიდან თავჰიდის შუქზე, მაშინ მოინანიე ის შირქი, რომელსაც ასრულებდი ალლაჰის მიმართ და ასე შეხვალ უზენაესი ალლაჰის რელიგიაში, ისლამში, რომელიც არის იბრაჰიმ ალ-ხალილის[1] რელიგია. უზანაესმა ბრძანა:

فَإِن تَابُوا۟ وَأَقَامُوا۟ ٱلصَّلَوٰةَ وَءَاتَوُا۟ ٱلزَّكَوٰةَ فَإِخْوَٰنُكُمْ فِى ٱلدِّينِ ۗ وَنُفَصِّلُ ٱلْـَٔايَـٰتِ لِقَوْمٍ يَعْلَمُونَ

ხოლო (ურწმუნოებმა) თუ მოინანიეს, ლოცვად დადგნენ და ზექათი გასცეს, თქვენი ძმები არიან რჯულში და ჩვენ განვუმარტავთ აიათებს იმ ხალხს, რომელმაც იცის. (თავბა 9:11)

და თუკი შენ მიიღებ ისლამს, თავჰიდს და სწორ რწმენას გულწრფელად, ალლაჰის კმაყოფილებისათვის, მაშინ შენთვის სასიხარულო ამბავია:

1 ალ-ხალილი ეწოდება შუამავალს იბრაჰიმს და ეს ნიშნავს მეგობარს. ალლაჰმა იბრაჰიმი დაადგინა თავის მეგობრად. იხ; სურა ნისა 4:125

აბუ სა'იდ ალ ხუდრი გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

إِذَا أَسْلَمَ الْعَبْدُ فَحَسُنَ إِسْلاَمُهُ يُكَفِّرُ اللَّهُ عَنْهُ كُلَّ سَيِّئَةٍ كَانَ زَلَفَهَا، وَكَانَ بَعْدَ ذَلِكَ الْقِصَاصُ، الْحَسَنَةُ بِعَشْرِ أَمْثَالِهَا إِلَى سَبْعِمِائَةِ ضِعْفٍ، وَالسَّيِّئَةُ بِمِثْلِهَا إِلاَّ أَنْ يَتَجَاوَزَ اللَّهُ عَنْهَا

"თუკი ადამიანი მიიღებს ისლამს გულწრფელად, მას ალლაჰი აპატიებს წარსულ ცოდვებს, და ამის შემდეგ იწყება ანგარიშსწორება. მისი კეთილი საქმეების ჯილდო იქნება ათიდან შვიდასამდე  თითოეულ კარგ საქმეზე. ერთი ცუდი საქმე ჩაიწერება როგორც ერთ ცუდ საქმედ, თუკი ალლაჰმა არ აპატია. (ბუხარი 41)

სალამი და ლოცვა ალლაჰის შუამავალს, მის ოჯახს და
ყველას, ვინც მის ნაკვალევს მიჰყვება.